F-262 N 13029

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი 1919 წ. აპრილის 2 № 73
წელიწადი მეხუთე

ოთხშაბათი 1919 წ. აპრილის 2
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ივანე, გრიგოლ, ვლადიმერ, ალექსანდრე და ზურაბი ვასილის ძენი ქუთელიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი ძვირფასი ბიძაშვილი

კუკუნია

დაკრძალვა მოხდება სოფელ ლექურწუმეში (ზუგდიდის მაზრა).

1—2265—1

ნატალია დავითის ასული და აკაკი ეღონის ძე ქუთულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორის ძმა მანგლისის მეორე რაზმის პორუჩიკი

სოლომონ (კუკუნა) ბეჟანის ძე

ქუთელია

დაკრძალვა სოფელ ლექურწუმეში (ზუგდიდის მაზრა). დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

1—2265—1

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ ამით აცხადებს, რომ გამგეობის ყველა განყოფილებები, კასსა და ბუჰგალტერია ნორმალურად მუშაობენ.

1—43—1

თბილისის ქალაქის გამგეობის

მოსამსახურეთ, რომელნიც საბჭოს მარტის 5-დან გადაწყვეტილებით სამსახურს თავდანებებულად ითვლებიან, თუ სურთ ხელახლად სამსახურში დაბრუნება, უნდა ამაზედ განცხადება შემოიტანონ გამგეობის სეკრეტარიატში აპრილის 3-დე მათი სამსახურში მიღება მოხდება იმავე წესით, როგორც უცხო პირებისა.

ქალაქის გამგეობა. 1—43—1

1379

ლეკურის კურსები

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) შესავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება სალამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—7

თბილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების
ჩვეულებრივი

წლიური კრება

დანიშნულია 13 აპრილს დილის 11 საათზე, ნაცვლად 27 მარტს დანიშნულ კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) 1919 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და 5) არჩევა: გამგეობის წევრის მორიგეობით გასულ გ. თ. ყიფშიძის სამაგიეროდ, არჩევა საბჭოს წევრისა მორიგეობით გასულ გ. ლასხიშვილის მაგიერ, სარევიზიო კომისიისა და მათის კანდიდატებისა.

ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება.

3—41—2

სახალხო სიმღერა - გალობის

კურსები

მიხეილ კავსაძისა

ვორონცოვის ახლო, მუშათა კლუბის პროფესიონალურ კავშირების ბინაზე. (ყოფილი „ბო-მონდი").
შაბათობით და პარასკეობით საღამოს 5-ნახ.—8 საათ.

2—2258—2

მედიცინის დოქტორი

ა. ვ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—17

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 2 მარტს, წარმოდგენილი იქნება

სამსონ და დალილა

3 აპრილს „ბოკაჩჩიო" 4 აპრილს „აბესალომ და ეთერი".

---

12 აპრილი

„საქართველოს" რედაქციის მხატვრული საღამო

სურათები,
შარჟები,
ახალი სანახაობა

საუკეთესო
არტისტიული
ძალების კონცერტი

პოლიტიკური და ლიტერატურული
თბილისი საღამოს კედლებზედ.

დიასახლისი: ქ-ნი ნინო გვაზავა.

რესტორანი პარიზი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული
ცალკე მოწყობილ დარბაზებით
გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

ფასები ზომიერია

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)
სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25-32—13 პატივისცემით: ს. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

მუშათა საკითხი

დღეს ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სრული არევ-დარევის, ყოველგვარი წარმოების დაცემისა და საშინელი სიძვირის მთავარი მიზეზი იყო და არის ის უპასუხისმგებლო პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებენ პროფესიონალური კავშირები. ყოველგვარი წარმოება იხურება და ჩერდება, ვინაიდან მუშათა ორგანიზაციების მუდმივი ჩარევა წარმოების ადმინისტრატიულ მუშაობაში, შეუძლებლად ხდის მრეწველობის განვითარებას.

წარმოების ინტერესები არასოდეს არ არის მიღებული მხედველობაში. მუშათა მიღება, თუ მათი დათხოვნა ყოველთვის ცალმხრივად იქნება პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ. ბევრი ფიქრობდა რომ ასეთი მდგომარეობა, მარტო მწარმოებელთ დაზარალებდა. მაგრამ მალე ყველასთვის აშკარა შეიქმნა, რომ ეს თვით მუშათათვის არ არის სასარგებლო. მუშების უსაზღვრო მოთხოვნილებანი, სამუშაო დროის არამც თუ უკიდურესი შემცირება, არამედ მისი უნაყოფო ჩატარებაც, ამცირებს შრომის ნაყოფს და აღარიბებს მთელს ერს; აღარიბებს თვით მუშებს და არა მარტო წარმოების მეპატრონეთ. თვით სოციალისტური მთავრობა რწმუნდება დღეს ამ უბრალო ჭეშმარიტებაში და როგორც, გვესმის შესაფერისი ზომების მიღებას აპირობს თურმე შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

შრომის საკითხის წესიერად მოგვარებას მუდამ დიდი მნიშვნელობა აქვს მაგრამ განსაკუთრებულია მისი მნიშვნელობა დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა სრულიად გაიძარცვა და გაცარიელდა ხალხისთვის ყოველგვარი საჭირო საქონლისაგან.

ამ აწეწილს საქმეს დიდი და გონიერი მოვლა უნდა. ის უბრალო დეკრეტებით არ გამოსწორდება, მას დასჭირდება წესიერ კანონმდებლობითი შემოქმედება და ამასთანავე მუშების შეგნებული ნაწილის შეგნებული მონაწილეობა საქმის გამოსაბრუნებლად. მაგრამ უწინარეს ყოვლისა თვით მთავრობა უნდა იდგეს ამ საკითხში ქვეყნის მეთაურის სიმაღლეზე. მას არ უნდა უძნელდებოდეს მუშათა წინაღმდეგ წასვლა ყოველს იმ შემთხვევაში, როდესაც მუშათა მოთხოვნილებანი საზიანოა ხალხის უმრავლესობისათვის, მთელი ქვეყნისათვის. თუ გაგრძელდა ის მუდამ ამყოლი და პროფესიონალური კავშირების უკან ჩანჩალის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა აქამომდე ჩვენი შრომის სამინისტრო, არაფრის მოგვარება არ მოხერხდება. ჩვენი მთავრობის ამ საქმეში უძლურების მაგალითი აუარებელია, მაგრამ მეტად თვალსაჩინოა ეს ცნობილს კონფლიქტში ამიერ კავკასიის ბანკსა და მის მოსამსახურის ბ. ჭეიშვილის შორის რომ ჩამოვარდა.

ბანკმა გამოაქვეყნა ყველა საბუთები ამ საქმის შესახებ. ბანკმა დაითხოვა თავის მსახური, რომელიც მისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა. რამოდენიმე თვის განმავლობაში ჯამაგირი ტყვილად აძლია, რომ მან ადგილი მოეძებნა. შემდგომ მთელი წლის ჯამაგირიც მისცა. ბ-ნი ჭეიშვილი ამით უკმაყოფილო დარჩა და პროფესიონალური კავშირის შემწეობით ომი გამოუცხადა ბანკსა და მთელს სახელმწიფოს.

ეს საკითხი მრავალი ბჭობისა და განხილვის საგანი გახდა. მთავრობამ საქმე განიხილა და განმარტა, რომ ბანკი კანონიერად მოქცეულა. შრომის სამინისტრომ თვითონვე განიხილა საქმე და აგრეთვე დაადასტურა ბ. ჭეიშვილის პრეტენზიების უკანონობა. ასეთი იყო შრომის სამინისტროს დადგენილება 10 იანვარს 1919 წ., მაგრამ თქვენ განცვიფრებას საზღვარი არ ექნება, როდესაც ამ სამინისტროს 20 მარტის დადგენილებას წაიკითხავთ ამავე საგანზე. აქ სამინისტრო სამართლიანად აღიარებს პროფესიონალური კავშირის ამ საგანზე დადგენილებას. რაშია საქმე? შრომის სამინისტროს პირველსა და მეორე დადგენილების შორის 16 მარტს მომხდარა საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების ყრილობა, რომელსაც დაუდგენია მთელს რესპუბლიკაში გაფიცვის გამოცხადება, უკეთუ ბ. ჭეიშვილი დაკმაყოფილებული არ იქნებოდა.

რა ძალა და მნიშვნელობა უნდა ექნეს ასეთი სამინისტროს დადგენილებას და განკარგულებას? ვინ გაუწევს მას ანგარიშს, როდესაც მას თავისი აზრი და შეხედულება საკითხზე არ აქვს და თუ აქვს, ყოველთვის მას შეცვლის რა ჟამს საპროფესიო კავშირები მას არ დაეთანხმებიან. ეხლა, ამბობენ, თვით მენშევიკები აპირობენ შრომის კანონის საფუძვლიანად შეცვლას. მაგრამ რაც უნდა კარგი კანონი გამოსცენ, ის მიზანს ვერ მიაღწევს, უკეთუ გაგრძელდა მთავრობის ასეთი მერყევი პოლიტიკა. კარგს კანონს კარგი აღმსრულებელი უნდა.

ზაქათლის ოლქის „ოკუპენები"

საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო მომავალში უეჭველია ჩაჰბარდება ახალი „მეგობრული" ნოტა აზერბეიჯანის მთავრობისა. პირველი ნოტა მესხეთის ამბოხების ჩაქრობას შეეხებოდა,— აზერბეიჯანის მთავრობა მაშინ, როგორც ვიცით, ერთ სისხლ და ერთ მორწმუნე" ხალხის „გაჟლეტის" შეჩერებას მოითხოვდა.

ამ ჟამად საქმე შეეხება ჩვენი რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს—ზაქათლის ოლქს. აზერბეიჯანის ოფიციოზურ გაზეთში მოთავსებულია დეპეშა ზაქათლის ოლქიდან აზერბეიჯანის პარლამენტის წევრის ქუჩუკხანოვისა. ზაქათლის ოლქის „წარმომადგენელი" ატყობინებს პარლამენტს, ოლქში „საეჭვო" (?) ქართულ საპროპაგანდო სამხედრო მისიის" ჩამოსვლას და მოითხოვს განკარგულებას რათა „მიღებულ იქმნას დაუყოვნებლივი და საჭირო ზომები..." ზაქათლის ოლქის განთავისუფლებას საშიშ „მისსიონერებისაგან" ქუჩუკხანოვი მოითხოვს ხალხისა და თვის სახელით!

არ ვიცით, როგორ გამოეხმაურება აზერბეიჯანის პარლამენტი და მთავრობა ქუჩუკხანოვისა და „ხალხის" მოთხოვნას. შესაძლებელია, ალარმისტულ დეპეშამ საგანგებო ნაბიჯი გადაადგმევინოს ხან-ხოილის სამინისტროს და აზერბეიჯანმა კატეგორიულად მოითხოვოს „საქართველოს პრეტენზიების" ალკვეთა... ერთი კი აშკარაა: ზაქათლის ოლქის საკითხი უკვე მივიდა „ჰერკულესის ბჭესთან"! აზერბაიჯანის აგენტების თავგასულობამ, ხოლო ჩვენი მმართველ წრეების დაუდევრობამ და უმოქმედობამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

მდგომარეობა აუტანელია!

ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა სასაცილო სურათს წარმოადგენს: ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ საინგილო და მთელი ზაქათლის ოლქი საქართველოს სხეულის არსებითი და თანდაყოლილი ნაწილია, ვგრძნობთ აგრეთვე, რომ რესპუბლიკის თვითარსებობისათვის ზაქათლის ოლქს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ისიც ვიცით, რომ ოლქის მცხოვრებნი, უმნიშვნელო და ყველასაგან მობეზრებულ ფანატიკოსებისა და თურქოფილების გარდა, მოუთმენლად ელიან კანონიერ მფარველის ხელმწიფების დამკვიდრებას მოწყვეტილ კუთხეში, — მაგრამ შირაქის გაღმა მხარე დღესაც მინებებულია ადგილობრივ უზურპატორების სათარეშოდ. საქართველოს მთავრობა „თეორიულად" სთვლის ზაქათლის ოლქს სახელმწიფოს განუყრელ ნაწილად. პარლამენტისა და მთავრობის აქტებში საინგილო ისევეა ნაჩვენები, როგორც საქართველოს ყველა სხვა უდავო ნაწილები; ზაქათლის ოლქისთვის „თეორიულადვე" ნავარაუდევია საადმინისტრაციო და სასამართლო აპარატი; თანახმად პარლამენტის მიერ დამტკიცებულ დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებისა, ზაქათლის ოლქსაც უნდა მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოებრივ უდიდეს მოვლენაში,—მაგრამ, ნაცვლად ამისა, ზაქათლის ოლქს უცხო სახელმწიფოს მოხელენი დაჰპატრონებიან და იმავე სახელმწიფოს მიერ პარლამენტში გამოხმობილნი არიან ზაქათლის ოლქის ხალხის „წარმომადგენელნი".

ჩვენი მთავრობა არა სცნობს აზერბეიჯანს საინგილოს სუვერენად, რაც მან საკმაოდ აგრძნობინა აზერბეიჯანის მეთაურებს, ზაქათლის ოლქის საარქივო დოკუმენტების გადაცემაზე გადაჭრილი უარი რომ შეუთვალა, მაგრამ აზერბეიჯანი უდოკუმენტოთაც გამგებლობს მითვისებულ კუთხეში და, ვფიქრობთ, ჯერ-ჯერობით შეუფერხებლად ასრულებს დასახულ მიზანს.

გვგონია, დროა გამოვეთხოვოთ უნაყოფო ოცნებას, რომ ტერიტორიისა და საზღვრების გამიჯვნის დეტალებს კონფერენციებზე გადასწყვეტენ დიდი სახელმწიფონი. ამგვარ საკითხების გამოსარკვევად ახალ პოლიტიკურ ერთეულების ბედის გადამჭრელნი ვერ მოიცლიან. თუმცა განსაზღვრულ მიმართულებისა და „[illegible]" პრესსაში დროგამოშვებით [illegible] ცნობებს ათავსებენ პარიზის კონფერენციის წევრთა შეხედულებაზე [illegible] ტერიტორიების დროებით status quo დ დარჩენისათვის, ვიდრე მათ ამა თუ იმ სახელმწიფოს მიაკუთვნებენ, მაგრამ, ჩვენის ღრმა რწმენით, ამ სენსაციებს „პარიზის საკუთარი კორესპონდენტი" თბილის-ბაქო-ერევნის რომელიმე კაფე-ბირჟაში სთხზავს...

სხვა და სხვა ახალ სახელმწიფოების ტაქტიკა ტერიტორიის საკითხში ყველგან ერთნაირია. სახელმწიფო აერთებს იმ მიწა-წყალს, რომელთანაც მჭიდროდ დაკავშირებულია ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად, ეთნიურად და სტრატეგიულად. ყოვლად წარმოუდგენელია, სახელმწიფოს ნორმალური განვითარება და კულტურა, თუ მასში ტერიტორიის ჩამოყალიბება დიდხანს შეჩერებულია და სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები მოკლებული არ საშუალებას შეკავშირდნენ და შედ ნენ ერთმანეთთან ორგანიული ც რებით.

დამოუკიდებელ საქართველ
სიცოცხლო ინტერესი ამ
მოითხოვს, რაც შ
გადასწყდეს მისი
ღვრების საკითხი,
სამუდამოდ ამო

უკანასკნელი ცნობები

ჰუნგრეთის პროვინციები რევოლიუციის მხარეზე გადავიდნენ.

პოლონეთში კომუნისტური მოძრაობა იზრდება.

შვეციის მთავრობაში უთანხმოებაა.

საზავო კონფერენციამ გადასწყვიტა დანციგი პოლონეთს არ გადასცეს.

ბავარიაში პრესის სოციალიზაცია ჰხდება.

ხელმწიფოებრივი მიჯნები, რომლის ფარგლებში უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოებრივი შეუწყვეტელი შემოქმედებითი მუშაობა.

ზობელ სახელმწიფოებმა, როგორც სჩანს, ჯერაც ვერ შეიგნეს, რომ განთავისუფლებული საქართველო ადრე თუ გვიან გამოცხადდება ისტორიულად მისთვის მინიჭებულ მიწა-წყლის ჩასაბარებლად. ამ მიზნის მისაღწევად რესპუბლიკა ყველა კანონიერ საშუალებას მიჰმართავს და მას საკმაო ძალაც მოეპოვება დაბრკოლებათა დასაძლევად!

საძირკველი ეყრება **საქართველოს სახელმწიფოს!** ჩვენ ვერ ვიკისრებთ ხუხულის შექმნას, რომ ლალი ნიავის წამობერვამ გაჰფანტოს და წაახდინოს... სხვისას არ მივისაკუთრებთ, ხოლო ჩვენის დათმობაზედაც იძულებული ვიქნებით არ დავთანხმდეთ...

ზაქათლის ოლქზე საქართველო „პრეტენზიას“ კი არ აცხადებს, როგორც ეს აზერბეიჯანის პარლამენტის წევრს, ცნობილ პანოსმალისტს ქუჩუკხანოვს ელანდება! **ზაქათლის ოლქი საქართველოს უდავო და განუყოფელი ნაწილია.** საქართველო მხოლოდ დროებით ურიგდებოდა ოლქში არსებულ წესებს, მაგრამ შექმნილ მდგომარეობის განგრძელივების სურვილს ის წინააღ უდგება ყოველივე სახელმწიფოებრივი საშუალებითა და ზომებით!

მაინც ვიკითხოთ, რამ აიძულა ზაქათლის ოლქის „დეპუტატი“ ასე სასწრაფოდ მოეთხოვა აზერბეიჯანის საკანონმდებლო დაწესებულებისათვის „საჭირო ზომების მიღება“ საქართველოს „პრეტენზიების“ მოსასპობად? რა მოხდა ისეთი ზაქათლის ოლქში უკანასკნელად, რამ აღაშფოთა და შეაშინა ხალხის „წარმომადგენელი“, რომ ასეთი უთავბოლო დეპეშა მიაშურა პარლამენტს?

ჩვენ გვაქვს ზოგიერთი შემოწმებული ცნობები ზაქათლის ოლქის შესახებ და ვარწმუნებთ აზერბეიჯანის პარლამენტის წევრ ქუჩუკხანოვს, რომ მისი შიში ნაადრევია, რადგანაც ზაქათლის ოლქში მისულ „ქართულ სამხედრო და ისიც—საეჭვო მისსიას, არავითარი დავალება არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ რამდენიმე ოფიცერი ლაგოდეხიდან სტუმრად ეწვივნენ სოფელ კახის მცხოვრებ ინგილო პოლკოვნიკ ტ.....ს! შიში მით უფრო უსაფუძვლოა, რომ ხსენებული პოლკოვნიკი თავის სოფელ კახში ამ დღეებში გარდაიცვალა...

ამ სტრიქონების დამწერს განეზრახა სანგილოში პირად საქმეების გამო გამგზავრება, მაგრამ „დეპუტატ“ ქუჩუკხანოვის გამაფრთხილებელ დეპეშის შემდგომ ალაზანს გადასვლა ცოტა არ იყოს სახიფათოა: ექსპანსიურ „კანონმდებელს“ იქნებ ბაქოდან ჯარის გამოწვევა დასჭირდეს ახალ „მისიის“ დასათრგუნველად...

ქუჩუკხანოვის დასამშვიდებლად, საჭიროდ ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობამ ზაქათლის ოლქში მის მიერ საეჭვო მისსიის გაგზავნა პირველად ქუჩუკხანოვის დეპეშიდან შეიტყო.

მაგრამ საქართველოში ყველამ უწყის, რომ ზაქათლის ოლქში მისსიები მართლაც არსებობენ. საქართველოში ისიც იციან, ვინ ხელმძღვანელობს მისსიებს და ვინ ავრცელებს საქართველოზე საზიზღარსა და ცრუ ხმებს.

ზაქათლის ოლქში ბნელ საქმეთა ავტორებს იქნებ ჰგონიათ, რომ ოლქი ისე ჩამოჰგლიჯეს დედა-საქართველოს, რომ მათი ვინაობა საიდუმლოებით მოცულია!?

სამუსლიმანო საქართველო

უკვე თურქების შემოსევამ საკმაოდ ოხრა და გაანადგურა მდიდარი ლციხე-ახალქალაქის მხარე. თურ ს წასვლის შემდეგ იმედი გვქონ ომ ტანჯული ქვეყანა მშვიდო მოიპოვებდა და უკან დაბ ხალხი გაოხრებულ და ლებს ეპატრონებო ებდა და რამდენად ოა სულის მოთქმას. იმედი გაგვიც მოაწყვეს ბნელი საქმე და გამოიწვიეს არეულობა. ხელმეორედ მრავალ ტანჯულ კუთხეს უბედურება თავს დაატყდა. რასაკვირველია, ყველაზე უწინ აოხრდენ და განადგურდენ ქრისტიანი ქართველები. ყაჩაღთა და მოღალატეთა ბრბოები ფოცხოვი არდაგანიდან ვერაგულად შემოსეულნი პირველად ეკვეთენ უდანაშაულო სოფლებს და რომ იტყვიან, ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ. მთელი სოფლები ცის ქვეშ დარჩნენ უბინაო და ყოველივე საზრდოს მოკლებულნი. გარდა იმისა, რომ ხალხი უსახლ-კაროდ დარჩა, არ აქვთ სათესლე და თუ დაუყონებლივ არ მოიპოვეს ხვნა-თესვის დრო გავა და სულ მთელი წლობით მშიერი დარჩებიან. რასაკვირველია ქრისტიან ქართველებთან ერთად დაზარალებულნი არიან სხვებიც, საზოგადოდ მცხოვრებლები, რომელნიც თურქების აგენტებმა მოატყუილეს და საზიზღარ ავანტიურაში ჩაითრიეს. არეულობამ ბევრი დააზარალა.

დღეს, როცა არეულობა დააწყნარა ჩვენმა თავდადებულმა სამხედრო ძალამ, ყოველთვის სულგრძელ ქართველისთვის დამნაშავე აღარ არსებობს. რასაკვირველია, ამბოხების მომწყობთ და მოთავეთ ულმობელი სასჯელი უნდა ელოდეთ. უნდა გაიწმინდოს ჩვენი ქვეყანა თურქთა ბნელ აგენტებისაგან. გვეყო მათი მუხანათური გაიძვერობა და უნამუსობა, შებრალება და უკან დახევა ამ შემთხვევაში კიდევ ახალ აჯანყების და ღალატის გამხნევება იქნებოდა. მაგრამ იგივე არ ითქმის ხალხზე, რომელთგან ბევრს, დიდ უმრავლესობას სრულიად არ უფიქრია ჩვენი ღალატი. და თუ ერთი-ორი გამოერია, ისინიც სიბნელით, მოტყუებულნი ჩვენი მტრებისაგან, თითქო ქართველი ერი მათ შეწუხებას, სარწმუნოებრივ შევიწროებასაც კი უპირებდეს. ცხადია, ამათ ჩვენ უნდა ვაპატიოთ ყველა მათი შეცდომა და სულგრძელობით მოვიპოვოთ მათი შერყეული ერთგულება. ამ გვარად დაზარალებულ კუთხეს ესაჭიროება სწრაფი და უხვი დახმარება. რასაკვირველია, მთავრობა თავის მოვალეობას შეასრულებს. მაგრამ დიდად შემცდარი ვიქნებოდით, თუ სიმძიმეს აოხრებულ კუთხის აღდგენისა მთავრობას დავაკისრებთ. საჭიროა მთელმა ქართველმა ერმა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში. საჭიროა უხვი ქველმოქმედება. საჭიროა შესაფერი დაწესებულებანი დაუყონებლივ შეუდგენ დახმარების შეგროვებას, თორემ უბინაო, უსახლკარო ხალხი ამოწყდება, დაიღუპება. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ჩვენს მოწოდებას.

პეტრე სურგულაძე.

ფედერალისტების გამორკვევა

„სახალხო საქმის“ პუბლიცისტებმა დიდხანს ეძიეს ახალი გზები, ახალი საკითხები და როგორც იქმნა, ბოლოს გამოერკვივნენ სამუდამოდ.

დამფუძნებელ კრების არჩევნების წინ, როდესაც ფედერალისტები საარჩევნო აგიტაციაში იყვნენ, მათ გამოეყო პარტიის მემარცხენე ჯგუფი „მაშვრალების“. ჩვენ მაშინვე დავაფასეთ ამ პარტიის მომავალი და აშკარა გახდა შემდეგ მისი დამარცხება.

თავის თავად „მაშვრალთა“ დამარცხება არაფერ ინტერესს არ წარმოადგენდა და არც დღეს წარმოადგენს, მაგრამ ამას ჰქონდა თვითონ ფედერალისტების დედა-პარტიისთვის ავი სიპტომის მნიშვნელობა.. და საინტერესოა სწორედ დღეს ამის გარკვევა, როცა მთელი ფედერალისტების პარტია „გამაშვრალდა“...

ფედერალისტებმა დღეს გაიხსნეს თავის „სარევოლუციო“ ეპიტეტი, გადაიხარენ მაქსიმალიზმისკენ და კომუნისტობას იჩემებენ.

ჩვენ ამ თავითვე შეგვიძლია გაგება, რამდენათ გამტანი იქნება ეს ოპოზიცია და რას მოიგებს ეს პარტია მაქსიმალიზმისგან?...

თავის დროზე, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში მაქსიმალიზმი წინდაწინ წაგებული საქმეა... ბოლშევიზმის დამარცხება საქართველოში არც ისე უცაბედი ფაქტია, ბოლშევიზმი მოკლებული იყო მორალურ ავტორიტეტს და მისი გამოსვლები, მხოლოდ ბანძელ და ოსების ყაჩაღების თარეშში გამოიხატა, მაშინ ჩვენ ვწერდით, რომ ფედერალისტები ვერავითარ გამოსვლას ვერ მოახდენენ მთავრობის წინააღმდეგ, მათ მაქსიმალიზმი მარტო იდეოლოგიური კურიოზებით გათავდებაო... ეს წინასწარი თქმა იყო და შემდეგში ეს გამართლდა.

ვის ეყრდნობიან ფედერალისტების „მაშვრალები“...?

ორიოდე გზა აბნეულ მუშას, რომელიც თავის დროზე მენშევიკებმა აიძულეს პარტიიდან წასულიყვენ და ამიტომ ჩაეწერენ ფედერალისტებში... რამდენად განსაზღვრულია მაშვრალების რიცხვი—ეს იქედანაც სჩანს, რომ მაშვრალებმა არჩევნებში მარტო ორი ათასი ხმა მიიღეს და აქედან ნახევარი სოფელი ცხრუკვეთის საზოგადოების გლეხების ხმაა. ფედერალისტებმა იციან ისტორია ცხრუკვეთის „გამაშვრალების“)...

მაგრამ თუ „მაშვრალები“ დამარცხდენ არჩევნებში, სამაგიეროდ ზომიერ ფედერალისტებმა გაიმარჯვეს... და არ უშვებენ შემთხვევას ამ გამარჯვებით იტრაბახონ...

ფედერალისტებს ერთხელაც არ უკითხავთ, რა იყო მიზეზი მათი გამარჯვების?

არ ყოფილა შემთხვევა ფედერალისტების პარტიის გამარჯვების ისტორიაში. ეს პარტია მუდამ დამარცხებული იყო, საკითხავია, რა გამოიცვალა საქართველოში რომ ამ პარტიამ გაიმარჯოს?

ამის ახსნა ადვილია.

ფედერალისტების გამარჯვება შემთხვევის ბრალია, სოციალ-დემოკრატებმა მოინდომეს კოალიციის პრინციპით თამაში... ფედერალისტები გამოიყენეს ობიექტად... მენშევიკებმა მათ დაუთმეს კაბინეტში ორი სამინისტრო და აგრეთვე თავი დაანებეს მათ წინააღმდეგ კამპანიას... ფედერალისტებმა ორივე შემთხვევით საკმაოთ ისარგებლეს.

თუ უწინ ფედერალისტები სოფლებში თავს არ გამოყოფდენ, ყველგან მათ ერეკებოდენ მიტინგებზე არ ალაპარაკებდენ, იმის შემდეგ, როცა მენშევიკებმა ბლოკი შეჰკრეს ერობის არჩევნებში ფედერალისტებთან—სოფლის ხალხი მათ მენშევიკების წყალობით შეურიგდა და სწორეთ ამით აიხსნება, რომ ფედერალისტებმა ზოგიერთ დაბა სოფლებში საარჩევნო ოთახების ჰერებიც დახვრიტეს და საარჩევნო ოიმბაზობაში და ხრიკებში მენშევიკებსაც გადააჭარბეს... სამინისტრო პორტფელები კიდევ უფრო სარგებლიანათ გამოიყენეს ფედერალისტებმა... უნდა ითქვას მართალი, რომ არც ერთი პარტია არა თუ საქართველოში, თითქმის ქვეყანაზეც არ იქნება ისე გაწაფული კლიენტელის შექმნაში, როგორც ფედერალისტების პარტია. ეს პარტია სწორეთ ამ სისტემით დაარსდა და განაგრძობს დღესაც ყოფნას...

ამიტომ გაუგებარია ფედერალისტების ტრაბახი გამარჯვებაზე და კიდევ უფრო გაუგებარია, როცა ეროვნულ დემოკრატების წინააღმდეგ ლაპარაკობენ... მათ დაავიწყდათ, როცა თვითონ იყვენ მენშევიკების დემაგოგიის საგნათ... მთელი საარჩევნო კამპანიის ბრძოლის ენერგია მენშევიკებმა ნაციონალ-დემოკრატებს დაატეხეს თავზე... მარტო მათი ისტორიული პლაკატები რათ ღირს?.. ფედერალისტები და მენშევიკები ისე იყვენ შეიარაღებული მატერიალური რესურსებით, რომ ნაციონალ-დემოკრატების ბურჟუაზიულობაზე, მხოლოდ ირონიით სწერდენ...

ფედერალისტებმა ეს მდგომარეობა ნორმალურად მიიჩნიეს, როცა გამაგრდენ ამ პოზიციებზე შემდეგ გადაწყვიტეს „ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენებაზე“ ხელის აღება და მოითხოვონ მის დანგრევას, ჩვენ შემდეგში გავარკვევთ ფედერალისტების ოპოზიციის სახეს მანამდი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფედერალისტებს ნაცარქექია მაქსიმალისტები, მხოლოდ თავიანთ პარტიას დაანგრევენ და მალე იგემენ მენშევიკების მწვავე ხელს;

ეს უფრო მალე იქნება, სანამ ფედერალისტებს მოასწრებენ კომუნისტები, რომელთა იმედით ეხლა ცხოვრობენ...

დამფუძნებელი კრება

მარტის 29 სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.** მდივანი **კ. ჯაფარიძე.**

კრება იწყება ნაშუადღევის 12 ნახ. საათზე.

დღიურ წესრიგში: 1. კანონ პროექტი დამფუძნებელ კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობის და წევრთა დიეტისა. 2. დამფუძნებელი კრების 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 3. სხვა და სხვა კომისიების არჩევა.

დამფუძნებელ კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობის და წევრთა დიეტის კანონ-პროექტის შესახებ კრებას ვრცელ მოხსენებას უდგენს პარლამენტის წევრი **რაჟდენ არსენიძე.**

ორატორი აღნიშნავს, თუ რა სახით არის შეტანილი ეს მუხლი სხვა და სხვა ქვეყნის კონსტიტუციებში და გაჰყავს პარლელი ზოგიერთ მთავარ რესპუბლიკისა და სახელმწიფოს კონსტიტუციებთან. ასეთი შეუთავსებლობა პალატის წევრთა და მოხელეობისა არსებობს საფრანგეთში. გამონაკლისს შეადგენენ მთავრობის წევრები.

შვეიცარიაში ნაციონალურ საბჭოს წევრს არ შეუძლიან იყოს არც რომელიმე კანტონის და არც კავშირთა საბჭოს წევრად.

ბელგიაში მოხელე შეიძლება გახდეს კანონმდებელი, თუ ის აირჩიეს როგორც მოხელე.

ორატორი ეხება ინგლისის, ამერიკის და სერბიის კონსტიტუციებში არსებულ პარალელურ მუხლებს და აღნიშნავს, რომ ყველგან, სადაც კი ამ შეუთავსებლობის გამონაკლისი არსებობს, ეს გამონაკლისები გამოწვეულია ადგილობრივ პირობებით.

შემდეგ ორატორი ეხება წარმოდგენილ კანონ-პროექტს და აღნიშნავს, რომ საერთოდ ჩვენშიც დამფუძნებელ კრების წევრობა და სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური ერთმანეთთან შეუთავსებელია, ხოლო ეს დებულება არ ვრცელდება მინისტრებს, მათს ამხანაგებზე, სახელმწიფო კონტროლიორსა, მის ამხანაგისა, ელჩებისა, უმაღლეს სკოლის პროფესორებსა, პრივატდოცენტებსა, მასწავლებლებსა, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრებზე და ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრებზე.

მომხსენებელი ასაბუთებს, რომ აქ ჩამოთვლილ თანამდებობათა შეთავსება შესაძლებელია და ჩვენთვის მისაღები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კრების წევრთა დიეტას აღნიშნავს. რომ საფინანსო კომისიაში იყო სამი წინადადება 3000 მანეთის, 2000 და 1500—კომისიამ გაითვალისწინა რა ჩვენა ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა, დამფუძნებელ კრების წევრებს თვიურ გასამრჯელოდ გადაუწყვიტა 1500 მან.

კანონ-პროექტი იწვევს კამათს.

კამათში მონაწილეობას იღებს **იოს. ბარათაშვილი.** (ს.-ფ.) ორატორის აზრით, ყოვლად შეუძლებელია მიღება კანონ-პროექტის მე-2 მუხლისა, რომლის ძალითაც ადგილობრივ თვითმართველობათა წევრებს არ ეკრძალებათ იყვნენ იმავე დროს დამფუძნებელ კრების წევრებად. ორატორის აზრით ჩვენში არ არის ისეთი სიმცირე ინტელიგენციისა, რომ ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრები იმავე დროს იყვნენ დამფუძნებელ კრების წევრებად, მით უმეტეს, რომ დამფუძნებელ კრების წევრს შეუძლიან კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ თვითმმართველობათა გამგეობას და თუ ჩვენ თვითმმართველობათა გამგეობის წევრები გვეყოლებიან დამფუძნებელ კრების წევრებად, მაშინ გამოვა, რომ გამგეობის წევრი თავის თავს თვითონ უწევს კონტროლს, რაც შეუძლებელია.

ორატორი ეთანხმება კანონ-პროექტის სხვა ყველა დანარჩენ მუხლებს.

ლ. ნათაძე. (ს.-დ.) ორატორი აღნიშნავს, რომ სწორედ ის მუხლი, რომელიც მიუღებლად მიაჩნია ს.-ფ. ფრაქციის წარმომადგენელს, ბატ. იოსებ ბარათაშვილს მეტად მნიშვნელოვანია ამ კანონ-პროექტში. ჩვენ ამ მუხლით არ ვკრძალავთ ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრებს იყვნენ ამავე დროს დამფუძნებელ კრების წევრებად. ამით ხდება გაერთიანება ცენტრის პროვინციასთან. დამფუძნებელ კრების ის წევრები, რომლებიც ამავე დროს იქნებიან ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრებად გაგვიადვილებენ პროვინციის საჭიროების გაცნობას. ხოლო მაშინ, როდესაც ისინი პროვინციასა და ცენტრს შორის ჩატეხილ ხიდის გამრთელებას მოახდენენ.

გ. გვაზავა. თეორიტიული ნაწილი მოხსენებისა მისაღებია. მართლადაც უმთავრესი მოთხოვნილება შეუთავსებლობისა სწორედ იმაშია, რომ დამფუძნებელი კრების წევრი იყოს სრულებით თავისუფალი და დამოუკიდებელი თავის მოღვაწეობაში. მაგრამ ეს პრინციპი ბოლომდე გატარებული არ არის კანონპროექტში. არ ვეთანხმები ბ. ბარათაშვილს: პასუხისმგებელი კანონმდებელ ორგანოს წინ არის არა ყოველი მმართველობის პირი, არამედ მინისტრი—თავი და ხელმძღვანელი მმართველობისა. სცდება ბ-ნი ნათაძეც: ადგილობრივ თვითმართველობის და ცენტრალურ ორგანოებთა შორის მტკიცე ურთიერთობის დამყარება წმინდად უფლებრივი საკითხია და არა პერსონალური. თუ თვითმართველობა ავტონომიური იქნება ყოველ საკითხში, ის ყოველთვის გათიშული იქნება ცენტრისაგან. მიუხედავად ამისა, ვეთანხმები იმ აზრს, რომ თვითმართველობის გამგეობის წევრი იყოს იმავე დროს დამფუძნებელი კრების წევრიც. ეს საჭიროა უფრო პრაქტიკულ მოსაზრებით, და თავის შედეგებით რაიმე საშიშროებას არ წარმოადგენს.

შეუთავსებლობა არ უნდა შეეხოს აგრედვე მინისტრებს, ვინაიდან ისინი ალმასრულებელი ძალის სათავეში ჰდგანან, არავის არ ემორჩილებიან იერარქიულად და პასუხის მგებელნი არიან დამფუძნებელი კრების წინაშე. სასურველია მხოლოდ იმათ წაერთვას დროებით, სანამ თავიანთ თანამდებობას ასრულებენ, უფლება გარდამწყვეტი ხმის მიცემისა დამფუძნებელ კრებაში, რადგანაც შეუძლებელია თვითონ იყონ თავიანთ მოქმედების დამფასებელნი და თვითონ თავიანთ თავს ნდობა გამოუცხადონ.

ელჩის თანამდებობაც შეუთავსებელია დამფ. კრების წევრობასთან, რადგანაც ელჩსა ჰნიშნავს მთავრობა და მთავრობისაგან დამოკიდებულია. მხოლოდ, როგორც გამონაკლისი, ელა შეიძლება ეს დავტოვოთ.

რაც შეეხება გვარდიის შტაბსა აქ შეუთავსებლობას აქვს სრული ადგილი. გვარდიამ დიდი სამსახური აუწია საქართველოს და მის ეროვნულ ცხოვრების განმტკიცებას, ამას ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს, მაგრამ კანონმდებლობაში იმასაც უნდა მივცეთ ისეთივე პირობები ზნეობრივი თავისუფლებისა, როგორც ყველას.

შტაბი ემორჩილება მთავრობას ან მთავრობის თავმჯდომარეს; თუ გვინდა რომ შტაბის წევრი თავისუფალი იყოს თავის კანონმდებლობაში იგი განთავისუფლებული უნდა იყოს ამ მორჩილებისაგან, ე. ი. დაანებოს თავი შტაბის წევრობას. მაშინ იგი თავისუფალი იქნება მთავრობის მოღვაწეობის შეფასებაში და მხოლოდ თავის სინიდისის და შეგნების ქვეშ გადაწყვეტს ყოველი საკანონმდებლო საკითხს.

გ. გვაზავას შემოყვანილ აზრთა მიხედვით შეაქვს კანონ პროექტის შესწორებანი. დამფ. კრებამ ეს შესწორებანი უარჰყო.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელ რ. არსენიძეს, რომელიც იცავს კანონ-პროექტის ყველა მუხლს.

კანონ-პროექტი მიღებულია ს. დ. ფრაქციის მცირეოდენ შესწორებით. კანონ-პროექტიდან იშლება მე-4-ე მუხლი, ხოლო შენიშვნა მე-4 ე მუხლისა იჭერს მე-4-ე მუხლის ადგილს ამ მუხლის თანახმად პირველსა და მეორე მუხლში აღნიშნული პირები გასამრჯელოს ღებულობენ, რომელიმე ერთ ადგილიდან.

დამფუძნებელ კრების 1919 წ. ხარჯთაღრიცხვის შესახებ მომხსენებლად გამოდის დ. ონიაშვილი. ხსენებული ხარჯთაღრიცხვა აღემატება 3 მილიონ მანეთს.

გაუქმებულია დამფუძნებელ კრების კანცელარიის გამგის ამხანაგის და ხაზინადრის თანამდებობა.

დასასრულ არჩეულ იქნა დამფუძნებელ კრების სხვადასხვა კომისიები, რომელთა შემადგენლობას შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ოსმალების აგიტაცია

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ ტრაპიზონ—არზერუმის შუა რაიონში, ოსმალოს გამოჩენილი აგენტები ძლიერ აგიტაციას აწარმოებენ. აწყობენ ორგანიზაციებს. აწყობენ ჯარებს, ამზადებენ და აიარაღებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამ დღეებში რიზეში მისულა 1000 კარგად შეიარაღებული ასკერი, აგზავნებიან ემისრები ამავე მიზნით ამიერკავკასიაში და ადერბეიჯანში. აგიტაციას [illegible] არტანუჯის, [illegible] მანის და ყაგიზმანის რაიონებში.

როგორც გადმოგვცემენ ესენი ფობენ ამიერ-კავკასიის სამხრეთ ასავლეთის მთავრობასთან შე ებით.

ნგლისელების მოქმედ ბა ართვინსა და არტა ჯში

ოსმალეთის ჯარების წასვლის დეგ ართვინ არტანუჯში შესდგა ოები ადგილობრივ მაჰმადიანთა მ ინგლისელებმა ამ მაზრებში დანი რუსეთის ძველი მოხელეები მაზ უფროსებად (ერთი რუსი, მეორე მეხი). საბჭოები მათ არ დაემორჩი ამისათვის ართვინში წავიდა გენერ გუბერნატორი ვოკუელისი, რომელ ულტიმატუმი წარუდგინა საბჭ დამორჩილებოდნენ მაზრის უფრო საბჭოებმა უპასუხეს, რომ ისინი არიან ინგლისის მთავრობას დაე ჩილნენ, მხოლოდ რუსის მოხელე არას გზით არ დამორჩილდებიან.

ართვინში ინგლისის ჯარი ჯე სდგას, ხოლო თვით ართვინში ნაკებულია 50-მდე ინგლისელი.

აფხაზეთი და საქართველ

„აზერბაიჯანში“ სტამბოლურ გ „კაეტიდან“ გადმობეჭდილია წერ აფხაზეთზე, რომელიც საზიზღარ ლისწამებას შეიცავს საქართველო

„მივაქცევთ სრულიად კაცობ ბის ყურადღებას იმ ტირილს კვნესაზე, რომელიც ასე მწარედ ნისმის დღეს აფხაზეთში, იმ საშ ლებათა გამო, რომელიც ჰხდება იქ, თანახმად უკანასკნელ ცნობე

ქართველებმა, მიუხედავად რო მათ არა აქვთ არც ისტორი უფლებები ამისა, ძალით ჩაიგდეს ში აფხაზეთი და გენერალ-გუბ ტორად დაჰნიშნეს ბნელი წარს მატარებელი, სისხლის მსმელი შვილი. კომისრად კი კარტუჩია, ლის მსხვერპლთა სისხლიც დ არ შემხმარა. ამ გუბერნატორ კომისარმა ისეთი საშინელი დ ააწიეს აქაურ მოსახლეობას, არ ჰქონია ადგილი თვით საშ საუკუნოებშიც. იმ დროს, როცა მართლიანობის საფუძველზე ერთა უფლებები უზრუნველყ ჰხდება, ევროპის თვალთა ხედვ ნაშე იმუქრება ესრედ კეთილშ ხალხი, რომელიც ცდილობს და დებლობის დამკვიდრებას. წარსდგება განათლებულ კაცო ბის წარმომადგენელთა წინაშე ლიანი საქმენი საქართველოს თველთა?

ნუ თუ ქართველებს არა შეიგნონ თუ როგორ ესაბამებ ვანდელ უფლებას და ადამი მთელი ერის ამოჟლეტა?

ალბად მათ არ ეყოთ შარშა მანელებთან ერთად გამართულ ცვა-ჟლეტა, რომ ეხლა თავიდ თელ არმიის წყალობით ცეც და მახვილით ანადგურებენ აფ

მოკლულთა შორის არიან და პოლკ. შარვაშიძე. უბედურ ხაზები, რომელთაც დღემდე ჩუნეს თავისი ხალხოსნობა და თაც ვერა დააკლო რა თვით თის დევნამაც, იღუპებიან დ მუდამოდ.

აფხაზთა დარბეულ სოფლებ ძრწიან ქართველი აგენტები, ნიც ძალით აწერინებენ მა ქვეშევრდომობაზე.

ამ რიგად ქართველებს ჰსურ სი ძალადობა დააკანონონ კონფერენციის წინაშეც. მაგრ ამაზე ამაო იმედი უნდა ჰქონდ

მოკავშირეთა ფლოტის შავ ზღვაზე ნათელ მომავლის დაუსახა აფხაზებს.

სამაგიეროდ მათ მიერ თავი ბის მოსასპობლად გაღადგმულ ჯებმა სასურველი შედეგი ვერ ტანეს და პირიქით უფრო გ რეს ქართველების რეპრესიე სიველური.

მდიდარი და მშვენიერი აფ რომელმაც საშინელი მადა საქართველოს, დღეს ცრემლ დარდის არეს წარმოადგენს.

სიამოვნებით უნდა აღვნ რომ ჩვენი ტანჯვა წამება მხ სომხებმა შეისმინეს, მხოლოდ მაღლეს ხმა და აფხაზეთის მიენდო ამ კეთილშობილურ ძა

სიკვდილისგან გადარჩენილ ბავშვთა და მოხუცთა თვ მართულია მოკავშირეებ

მელთა მიზანია დაცვა უფლებისა და მცირე ხალხთა ინტერესებისა. მათი პროტესტი. ამ ველურობის წინააღმდეგ ბოლოს მოუღებს აფხაზეთში მომხდარ უწესრიგობას და სამწუხარო ამბებს, რის გაგრძელებაც ეჭვს გამოიწვევს ადამიანურ სამართლის არსებობაში.

ქრონიკა

◆ **გაფიცვის შესახებ.** ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. ქალაქის საბჭომ მოისმინა მოხსენება გაფიცვის მსვლელობის შესახებ, დაადასტურა 25 მარტის თავისი დადგენილება. დათხოვნილად გამოაცხადა მთელი გაფიცული მოსამსახურეები და დაავალა ქალაქის გამგეობას ახალ შტატის შედგენა.

◆ **საექიმო დახმარება.** თამბაქოს ქარხნის „სეილანოვის“ მუშებმა განუცხადეს შრომის კომისარს, რომ მათ თავის დროზე არ უჩენენ საექიმო დახმარებას. ამიტომ შრომის კომისარმა მიმართა ქარხანა-ფაბრიკათა საზოგადოებას, ხსენებულ მუშებს დახმარება თავის დროზე აღმოუჩინონ.

სხვა და სხვა ამბები

◆ **მკვლელობა.** 30 მარტს, ღამით ვორონცოვის ქუჩაზე, სახალხო გვარდიელმა ა. ჯარ ოღლიმ რევოლვერით მოჰკლა სახალხო გვარდიელი შაშვანდი-ალი ისკანდერ-ოღლი. მკვლელი დააპატიმრეს.

◆ **თავის დახრჩობა.** 30 მარ. საღამოს 7 ს., მტკვარში გადავარდა და თავი დაიხრჩო უცნობ ქალმა, რომელიც რამდენიმე წუთის წინად დიდი მთავრის ქუჩაზე სეირნობდა ერთ აფიცერთან. გვამი გამოიტანეს.

◆ **ქურდობა.** ამ დღეებში სამხედრო უწყების ყოფილ გიმნაზიის პანსიონიდან ბოროტგანმზრახველებმა 10 ათას მანეთად ღირებული თეთრეულობა მოიპარეს.

◆ 29 მარტს, ღამით, შიტკინის სარდაფიდან (პასტეროვის ქ. № 2), ბოროტმოქმედებმა 9100 მან. ღირებული სხვა და სხვა საქონელი გაიტაცეს.

პროვინციის ცხოვრება

ს. ახაში.

თელავის სამაზრო კომისარი შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს, რომ 25 მარტს დილა ადრიანად არეშის საზოგადოებაში მომწყვდეულ იქმნა ყაჩაღთა ბრბო მოკლეს მეთაური დ. დეჟი-ოღლი არ. მამედ-ოღლი. დაატუსაღეს ომარ-ოღლი, მახმედ-აჯი-მამედ-ოღლი: დასწრეს მ. იმამ მირზა-ოღლი. ერთიც დაჭრილი გაიქცა.

მიღებულია ზომები მის შესაპყრობლად.

—

მუღანი.

გაზ. „აზერბაიჯანის“ ცნობით პრიშიბში შესდგა სრულიად მუღანის ყრილობა რომელზედაც საფრანგეთის მისსიის წევრით დაესწრო. ყრილობაზე იმსჯელეს მუღანის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ყრილობამ ერთხმად გადასწყვიტა მიიღოს რუსეთის ორიენტაცია, მიუხედავად იმისა, თუ რანაირი მთავრობა დაიჭერს რუსეთის საჭეს.

—

ბათუმი.

დაარსდა ქართულ ეროვნულ საბჭოსთან სასურსათო კომისია, რომელიც დაექვემდებარება საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს და პასუხისმგებელი იქნება ეროვნულ საბჭოს წინაშე. სტამბოლიდან მოსული ცნობით ჩვენი დელეგაციის წევრები, რომელნიც მოკავშირეებმა არ გაუშვეს პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე დასასწრებლად, ამ დღეებში დაბრუნდებიან საქართველოში. ელიან გემს. გაიარეს საქართველოსკენ რუსეთის ყოფილ სახელმწიფოს სათათბირო წევრმა სკობელევმა, შვეიცარიის ფედერაციის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჩვენში ბ. შეიევმა და სპარსეთში მიმავალ საფრანგეთის მისიამ.

ქალაქის საბჭო

(31 მარტი).

თავმჯდომარეობს ლომთათიძე.

ქალაქის საავადმყოფოების რევიზია. მომხსენებელია საავადმყოფოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ი. გომართელი.** უკანასკნელის მოხსენებიდან ირკვევა რომ საავადმყოფოებში სრული უწესობა სუფევს, ავადმყოფები ჩივიან რომ მათთან არ რჩებიან მომვლელები, არ ყოფნით საჭმელი და სხ. გარდა ამისა ირკვევა რომ საავადმყოფოსათვის გადადებულ ფულს ბოროტად ხმარობენ, შემდეგ ისეთი პირები არიან შტატში შეტანილნი, რომელთაც არც ერთი დღე არ უმუშავნიათ მთელი წლის განმავლობაში ზოგი ორ ალაგას არის ჩაწერილი ალბად ორი ჯამაგირის მისაღებად. გარდა ამისა ირკვევა საავადმყოფოების ადმინისტრაციის სისუსტე. ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს ავადმყოფთა საჭიროებათ მაგ. ავადმყოფებს არ აქვთ ჩუსტები, ადმინისტრაციას ვერ გაუბედია ესენი ქალაქის გამგეობას მოსთხოვოს. ერთი სიტყვით საავადმყოფოებში სრული უწესრიგობა სუფევს და ამის გამოსასწორებლად მომხსენებლის აზრით საჭირო არის ადმინისტრაციის შემადგენლობა შეიცვალოს. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე შემცირდეს შტატი, 700 დან 450-დე.

არხნიძე წინადადებას იძლევა მიიღონ მოხსენება უკამათოდ და ზომები მიიღონ მოხსენებაში აღნიშნულ დეფექტების მოსასპობლად.

თავმჯდომარე კენჭს უყრის ამ წინადადებას, წინადადება მიღებულია.

გაფიცვის შესახებ.

მომხსენებელია ქალაქის თავის მოადგილე **კონიაშვილი.** საბჭოს წევრნო! თქვენ იცით, რომ 24 მარტის სხდომაზე თქვენ დაადგინეთ, რომ თუ 24 მარტს 9 საათზე გაფიცულები სამსახურში არ გამოცხადდებიან სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიანო. 26 მარტს მოხდა ქალაქის გაფიცულ მოსამსახურეთა წარმომადგენელთა კრება რომელზედაც მოხსენება გავაკეთე ქალაქის გამგეობის სახელით. დაუხატე მათ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა, და ისიც რომ ქალაქს მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლიან და თუ თქვენ დათმობის გზაზე არ შედგებით, შესაძლებელია მოხდეს სამოქალაქო ომიო. ამის შემდეგ ყრილობის წევრთა უმეტესობის სულისკვეთება შეიცვალა და შესაძლებელი იყო გაფიცვა მოეხსნათ მაგრამ ეს კრება მეორე დღისათვის გადაიდო, მეორე დღეს ილაპარაკეს ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენელმა, მუშათა პროფესიონალურ კავწარმომადგენლებმა, რომლებიც პირდებოდენ გაფიცულებს მორალურსა და მატერიალურ დახმარებას. ამით წათამამებულმა ყრილობამ დაადგინა განაგრძონ გაფიცვა 2) წინადადება მიეცეს ქალაქის საბჭოს თავის უკანასკნელი დადგენილების გადახედვისა და უარყოფისა; წინააღმდეგ შემთხვევაში დაევალოს გაფიცვის კომიტეტს გაფიცვა გააძლიეროს. ბოლოს ამ საკითხს შეეხო მუშათა საბჭოს კრება, რომელმაც დაადასტურა 25 მარ. ქალ. საბჭოს მიერ გამოტანილი დადგენილება. გაფიცვას ორი ხანა აქვს პირველი ასე თუ ისე ეკონომიურ სარჩულს ატარებს, მეორე კი წმინდა პოლიტიკურს.

საქმის ვითარება დღეს ასეთ ნაირად არის: გაფიცულები თავიანთ თანამდებობაზე არ ბრუნდებიან დაწესებულებებში საქმე შეჩერებულია, ამიტომ ქალაქის გამგეობა იღებს ახალ მოსამსახურეებს, და იმედია ამ მოკლე ხანში შტატი შეიკრიბოს და მუშაობაც ნორმალურ პირობებში ჩადგეს.

გომართელი. მოქალაქენო ჩვენ მოვისმინეთ, რომ ქალაქის მუშები კვლავ განაგრძობენ გაფიცვას ისინი ილაშქრებენ იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც არ დაერიდა არც ციხეებს, და არც სიკვდილს რომ მათთვის მოქალაქის უფლებები, პოლიტიკური თავისუფლება მოეპოვებინათ.

ჩვენ ენა როგორ მოგვიბრუნდება გაფიცვის წინააღმდეგ მაგრამ ეს არის არა გაფიცვა არამედ კონტრ რევოლიუცია, რომელიც დაღუპავს დემოკრატიას. მე მოვითხოვ ასეთი გამოსვლები ვისგანაც არ უნდა იყოს იგი პირშივე ჩაღრჩობილ იქმნეს.

თ. ღლონტი (ს.-ფ.). ჩვენს წინაშე მეტად მძიმე საკითხი სდგას. თქვენ მოგეხსენებათ, რომ გაფიცული მუშები დათხოვნილნი არიან და მათ ალაგას სხვებს იღებენო—კონიაშვილმა განაცხადა გაფიცვის 1 სტადია იყო ეკონომიურ ნიადაგზეო ხოლო მეორე სტადიაში კი გაფიცვამ წმინდა პოლიტიკური ხასიათი მიიღოო. მე ვაცხადებ, რომ ეს მართალი არ არის. გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე არის და მასში არავითარი პოლიტიკური არ არის. ქალაქის გამგეობამ ისინი ყველანი უნდა მიიღონ, და თუ ნაციონალიზაციის გატარება ან შტატების შემოკლებაა საჭირო ეს მეორეთ მოხდეს.

პ. გოთუა. (ე.-დ.) მოქალაქენო! ჩვენ აქ ამ საბჭოში არა ერთხელ გვსმენია პოლიტიკური გამოსვლები და ეს იმ ადგილებიდან იყო სადაც დღეს ბ-ნი ღლონტი ზის. იქ იჯდენ ის პირნი, რომელნიც გააფთრებით ებრძოდენ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას და საშუალებას არ გვაძლევდენ ჩვენ საქმეზე გვემუშავა. ეს ვაჟბატონები არჩევნებმა განწირა. დღეს ქალაქის ბედი იმ ხალხს აბარია ვისაც სამართლიანად უნდა ებაროს და საკვირველია როცა კვლავ ძველი წარსული გამოსვლები გვესმის.

აქ იყო თქმული ერთი ქართული ანდაზა, მე კიდევ მეორეს ვიტყვი: ქათამმა ჩხრიკა-ჩხრიკა, თავის დასაკლავი დანა თავად გამოჩხრიკაო. ასევე მოუვიდათ დღეს გაფიცულ ქალაქის მოსამსახურეებს. მათ ჩვენ ისე უნდა მოვექცეთ, როგორც წინა კრებაზე დავადგინეთ. თუ გვინდა ჩვენ ჩვენი პრესტიჟი არ დავსცეთ და შევძლოთ მომავალში რაიმე რეფორმების გატარება.

გაფიცულები მუშები არ არიან. ესენი არიან ეგრედ წოდებული ბურჟუაზიული ინტელიგენცია და ჩვენ ვგმობთ მათ საქციელს. ისინი უნდა დაისაჯონ.

გაფიცულთაგან თუ კი თხოვნით მოგმართავენ, მიიღეთ ის რაც თქვენთვის საჭიროა, და არა ყველა რამდენმაც არ უნდა მოგმართონ.

წერეთელი (მაშვრალი) ეს კვირა, გაფიცვის კვირაა, იფიცებიან იმიტომ რომ შიათ, საჭმელი პური არ აქვთ და თქვენ დემოკრატიის წარმომადგენელნი როგორ პასუხს აძლევთ მათ?

თქვენ უფლება არა გაქვთ გამოყაროთ სამსახურიდან მოსამსახურენი იმიტომ რომ ისინი პურს ითხოვენ.

მე წინადადება შემომაქვს ეს საკითხი კვლავ გადასინჯულ იქნეს და არც ერთი გაფიცულთაგანი დათხოვნილი არ იქმნეს...

არხნიძე. როცა დემოკრატიას ვინმე გაექცევა იმას თვით დემოკრატია მოსთხოვს პასუხსო გვეუბნებიან ასეც მოხდა დემოკრატიას უღალატა ქალაქის მოსამსახურეთა ერთმა ნაწილმა და ამისათვის მას დემოკრატია სჯის: მათ სჯის მათი უზენაესი ორგანო მუშათა საბჭო და ჩვენ უკანასკნელის წინააღმდეგ ვერ წავალთ.

ჩემი წინადადება იქნება განაგრძოს ქალ. გამგეობამ გაფიცვასთან ბრძოლა და ის მოხელე რომელსაც საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირა და მაინც გაიქცა დაისაჯოს იმით რომ სამსახურში არ იქნეს მიღებული.

შამოდის წინადადება: საბჭო ადასტურებს 25 მარტის დადგენილებას იწონებს გამგეობის ნაბიჯებს გაფიცულთა წინააღმდეგ მიმართულს და გადადის მორიგ საკითხე.

შემდეგ კრებამ განიხილა ზოგიერთი წვრილი საკითხები.

კრება იხურება ღამის 11 ნახ. საათზე.

ყუბანი

ყუბანის რადის რეზოლიუცია დღევანდელ მომენტის შესახებ.

ყუბანის რადამ მიმდინარე პოლიტიკურ მომენტის შესახებ იქონია მსჯელობა და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ბოლშევიზმის და ანარქიის საბრძოლველად საჭიროა:

1. მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები და რადის დადგენილებანი ცხოვრებაში გატარდეს, შეერთდეს ჩრდილოეთის ყველა სახელმწიფონი ფედერატიულ წესწყობილებაზე დამყარებული, რისთვის რადამ, მარტის გასვლამდის, უნდა მოიწვიოს ქ. ეკატერინოდარში კონფერენცია დონის, ყუბანის, თერგის, დაღესტნის, ყირიმის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლების თანადასწრებით.
2. ყველა სახელმწიფონი უნდა განთავისუფლდენ ბოლშევიკების სენისაგან და მოეწყოს ხალხის მმართველობა.
3. უნდა აღიკრძალოს პროპაგანდა ბოლშევიკების გამოსვლები და მონარქიული სულის კვეთებანი.
4. ყუბანის ცხოვრების მოწყობისთვის და მართვა-გამგეობისთვის ყუბანის მთავრობა სამოქალაქო და ა ნისტრატიულ საქმეებში [illegible] ისე როგორც ამას [illegible] მწიფობრივი ინ [illegible] მიღებულია:
5. დეზერტირების დევნა და მ ბელი აგიტაციის ალაგმაც არმიის ნააღმდეგ.

მთიელთა რესპუბლი

მიტინგი.

თემირხანშურში მრავალ რიცხოვ მიტინგმა დაადგინა მიჰმართოს აზერბაიჯანის და საქართველოს პარლამენტს, აგრეთვე მოკავშირეთა სარდლობას პროტესტით დენიკინის წინააღმდეგ რომელიც ასე ველურად ჰღვრის მთიელთა სისხლს. დაადგინე უკანასკნელ წუთამდე იბრძოლონ დაიცვან თვისი თავისუფლება. 26 მარტიდან მკაცრი ბრძოლა გაიმართა სუნჯენის და არღუნ-ურუს-მარტანის მიმართულებით.

ოფიციალური ცნობა.

მთიელთა მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელ კანტემირმა, თავის მთავრობისგან შემდეგი ცნობა მიიღო.

„უკანასკნელ დროს ზოგიერთ გაზეთებში მოთავსებულ იყო ცნობები მთიელთა მთავრობის და მის წევრების შესახებ. ყველა ეს ცნობები სიმართლეს სავსებით არ შეეფერება. რეაქციის წინააღმდეგ მთიელთა მთავრობა მტკიცედ არის შეკავშირებული. მთიელთა ხალხის სურვილია ერ თად შეკავშირდეს და ამისთვის ფულიც აქვს დადებული. იმ ტომებს რომელთაც პარლამენტში დღემდის წევრები არა ჰყავდათ დღეიდან ეყოლებათ. ის ცნობა, ვითომ მთიელთა მ ვრობას წერილი გაეგზავნოს მოხა სეებთან და უპირობოდ იწონებდეს მოქმედებებს, როგორც ჰსწერდენ გიერთი გაზეთები საზიზღარი ც წამებაა.

მოხალისეთა არმიის წინსვლა.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით მოხალისეთა არმიას გენერალ ლიახოვის მეთაურობით კვლავ გადულახა მთიელთა რესპუბლიკის საზღვ და იბრძვის ჩაჩნის, ალხან იურ უსტარ გორდოთას მიმართულები

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

2 აპრილი.

ქალები ჰუნგრეთის წითელ ჯარში

უნგრეთის წითელ ჯარში მრავლად ეწერებიან ქალებიც ვეისენბურგ მხოლოდ ერთ დღეს ჩაეწერა 180 ლი.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი მარტის 31. ც. ა. კ. ბე დვითი ბიუროს ბიულეტენი, (დასა ყისი არაა)...

სამხედრო ცნობა. პირეჟის რაიონში დამატებითი ცნობების თანახმათ მოწინააღმდეგემ სოფელ უსტ-ოგმათან შემოტევის დროს სოფელს 1000 ზარბაზანის ტყვია ესროლა, მაგრამ იერიში მოგერიებულ იქნა.

დასავლეთის ფრონტი. ნარვის რაიონი. ესტონიის წითელმა ნაწილებმა ბრძოლით დაიჭირა თხრილები ნარვის სამხრეთით. პსკოვის რაიონი: პეჩორის მიმართულებით ესტონიის წითელმა ნაწილებმა პეჩორა დასტოვა და ქალაქის აღმოსავლეთით [illegible] აწარმოებს. მარიენბურგის [illegible] ლებით მარიენბურგის ტბის აღმოსავლეთ რაიონში ლატიშელთა წითელმა ჯარმა 6 ვერსით უკან დაიხია. მიტავის რაიონი: ბაუსკის აღმოსავლეთით ლატიშელთა წითელმა ჯარმა ახალი პოზიცია დაიჭირა.

ლიონი, მარ. 30. ამერიკიდან რადიო იუწყება, რომ მოკავშ. ჯარს არ შეუძლია შეაჩეროს ბოლშევიკების იდეის გავრცელება. ერთა ლიგა, როგორც სჩანს, ჟენევაში ითათბირებს.

პარიზი, მარ. 1. საერთო ვალი მოკავშირეებისა ამერიკაში აღწევს მილიარდ დოლარს.

გენ. ალენბი პარიზში

პარიზი. გენ. ალენბის პარიზში ჩამოსვლის მოლოდინში გაზ. „ჟურნალ“ სწერს: გენ. ალენბი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სტუმართ მოყვარეობით შევხვდებით და მივიღებთ, როგორც შეეფერება მოკავშირეთა სამართლიან საქმის ერთ მთავარ დამცველთაგანს. ის დიდი მე რძოლია, ალენბი ჩინებულათ ხელმძღვანელობდა ჯარს შარლერუასთან მარნაზე და იზერზე უკან დახევის დროს და შემდეგ ბრწყინვალეთ ლმძღვანელობდა ჯარს სომმაზე მომხდარ პი ველ ბრძოლის დროს. გენ. ალე თავისი ღირსებით ფელდმარშალ

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

33.

როცა აშოტი გამარჯვებულად ებრძოდა მტკვრის დაბალ ველებში ხალვათად დაბინავებულ მტრის ურდოებს, ამ დროს მიაღწია მეფის კარს ბიზანტიელმა ელჩმა თავის ამალით, დედოფალმა მიიღო სტუმრები დიდებით, რამდენადაც შესწევდა მას მდგომარეობა. ნადიმი გაუმართა, შეჰქცევა ღირს სახსოვარი. ის კი აღონებდა გურანდუხტს, სასახლე და დარბაზპალატები ვერ შეჰშვენოდნენ მეფურ ღირსებას: ჯერ ისევ დროებით სადგომში სცხოვრობდა მეფე, არ გადასულიყო ახალ სასახლეში, რომელს აგებდა არტანუჯში, თვის ახალ სატახტო ქალაქში.

არტანუჯი პირველ ააშენა ვახტანგ გორგასალმა. შორსმჭვრეტელი მეფე სცდილობდა აეგო ციხე-ქალაქები იმისთანა ადგილებში, რომლებიც საუკეთესონი იყვნენ სამხედრო თვალსაზრისით და მარჯვენი მამულის დასაცველად. არტანუჯი ამისთანა ძლიერს და მარჯვე ადგილს წარმოადგენდა: იმაზედ გადადიოდა მახლობელი გზა ბიზანტიაში დასავლეთით და სომხეთში სამხრეთით. მურვან ყრუმ ბრძოლით აიღო ეს ციხე და დაანგრია. ქართველთა მეფეებს აღარ მიეცათ დრო აღედგინათ ციხე-ქალაქი. დარწმუნდა აშოტი, თბილისის დაბრუნება ადვილი არ იყო; ჯერ ბევრი ბრძოლა დასჭირდებოდა, სინამ განდევნიდა იქიდან ძლიერ მტერს. იწყო თვალიერება ადგილისა რომელი დროებით დაენაცვლებოდა სატახტო ქალაქს. აირჩია არტანუჯი და გასცა ბრძანება, აღედგინათ ვახტანგისეული სიმაგრე გაეფართოვეს ციხე. მეფემ მოისურვა გალავანშივე აეგოთ მისი სასახლე. მრავალ დარბაზებიანი იყო სასახლე, მკვიდრად ნაგები. მაღლობზედ იდგა ციხე. მის ქვევით გააშენა ქალაქი. თავის მახლობლებს უბოძა იქ სამოსახლო ადგილები. შემწეობასაც აძლევდა მათ მოსაწყობ-დასაშენებლად. ციხის ეკლესია პეტრე-პავლეს სახელზედ იქმნა ნაკურთხი.

დედოფალსაც მოსწონდა არჩეული ადგილი. აჩქარებდა, დაემთავრებინათ, შენობები. საუკეთესო ხუროთმოძღვრები და მშენებელნი მუშაობდნენ. ციხეს გარს ფართო გალავანი ერტყა დუღაბით ნაგები, ქონგურებიანი, მრავალ საისრებით მოწყობილი. კედელი ქონგურებთან უფრო თხელი იყო, მინამ ძირს. საისრეებიდან კაცის სიმაღლეზედ მოსდევდა შიგნით განზიდული კედელი, რომელზედაც თავისუფლად დგებოდა და მიდმოდიოდა მებრძოლი, რომ საისრეებიდან თუ ქონგურების კბილთა შუა ესროლნათ ისარი, ეტყორცნათ ხელშუბი თუ შურდულის ქვა. ციხეს ღრმა სარდაფები დაატანეს სანოვაგისა თუ სხვა საჭირო ნივთთა საწყობად. შუა სარდაფიდან ჩასდევდა გვირაბი, რომელი გადიოდა ართვინის წყალზედ და თავდებოდა მცირე კოშკით. გვირაბი რამდენსამე ადგილას იკეტებოდა. ციხის კუთხეებში აღმართული იყო უმაღლესი კოშკები, რომელი თავი გვირგვინისებურ იყო მოყვანილი, სვეტიდან განზე გაწეული, ისე რომ აქედან სანათურები დაჰყურებდნენ კოშკის კედლებს. ქალაქი დაბლა შენდებოდა ციხისა და მდინარის შუა. ციხეს კიდევ მეორე კედელი უნდა მოჰვლებოდა, რომელი ქალაქს უნდა ჩაჰკვლოდა ორივე მხრივ და დათავებულიყო ხევის პირას.

ბიზანტიელი ელჩები რომ ეახლნენ დედოფალს, ციხე ქალაქი ჯერ არ იყო დათავებული; მის დასრულებას კიდევ ბევრი სჭიროდა ფული და მუშა-ხელი. აშოტი ფიქრობდა ნივთიერი დახმარება ამ სიმაგრის დასასრულებლად და საზოგადოდ მტრისაგან აოხრებულ მამულის ასაშენებლად ბიზანტიაშიაც მიეგნახნა: ბერძენთა სარგებლობაც მოითხოვდა აშოტის საბრძანებელი ერთ შეუვალ ციხედ გარდაქმნილიყო და სარკინოზთ ვეღარ შესძლებოდათ ამ გზით მიახლებოდათ მათ საბრძანებელს. ეს იყო ერთი მიზეზთაგანი, რომ აშოტი ერთობ თავაზიან და ტკბილენა ეპისტოლეებსა სწერდა ამ ჟამად იმპერატორს.

ბიზანტიელებს თან საუკეთესო ხუროთ-მოძღვრები მოჰყვნენ. მათ უნდა დაეთვალიერებინათ ახალი ციხე-ქალაქები, თუ საჭირო იქნებოდა, რამე რჩევა მიეცათ მშენებელთათვის. ცბიერი მფარველი ორ მიზანს აღწევდა ამით: დაწვრილებით გაიცნობდა გეგმას იმ ციხე ქალაქებისას, რომლებსაც აშენებდა ან აახლებდა აშოტი, რაც გარემოებათა ცვლილების დროს დიდად დაეხმარებოდა ბიზანტიელთ; აშოტს გულს დაუდებდა: მასში მოსჩანდა იმპერატორის მზრუნველობა თა აშოტისადმი მეგობრული განწყობილება.

აშოტისაგან გამოგზავნილი დავლა მაშინ მოიტანეს დედოფლის კარს, როდესაც ას აპირობდა ელჩების გამგზავრებას არტანუჯში. ამან დიდად გაახარა გურანდუხტი, ძლიერად აგრძნობინა თავი დესპანების წინაშე. დედოფლის ამალამაც შესცვალა კილო საუბრისა, უფრო იმედიანად იწყო მსჯელობა, გულს ახდილად. დიდი დავლისა და მრავალ-მონების საშუალებით ქართველებს შეძლება ეძლეოდათ აეჩქარებინათ ციხე ქალაქების შენება.

დედოფალი შეგულიანდა ეხლა და განიზრახა, თითონ წაბრძანებულიყო არტანუჯს. ამალისა და ბიზანტიელთა თანახლებით. ბრძანა, საზეიმოთ მოეწყოთ ეს მოგზაურობა, როგორც შეჰფეროდა გამარჯვებულ მპყრობელს გამხიარულებულს. დიდებულათ წარემართა მგზავრობა. მადლიერი ხალხი სიხარულით ეგებებოდა დედოფალს გზა და გზა, ქებას შესძღვნიდა, ვით თითონ აშოტს ჭირთაგან მხსნელსა, მტერთა შემმუსვრელს. გზა მოირწყო განაცემით: უხვი წყალობა მოსთოვდა დედოფლის ხელთაგან.

ძალიან კარგ გუნებაზედ დადგა გურანდუხტ: თუ შეძლება არა ჰქონდა დიდებულად მიეღო სტუმრები თვის დროებითს სასახლეში, მის სანაცვლოდ ეხლა შესძლო გაეშალნა მოსულთა წინაშე აღემატება ბრწყინვალებისა და ეჩვენებინა უცხოთათვის, როგორ უყვარდა ხალხს სამეფო ოჯახი, როგორ პატივსა სცემდა მას. სეფე-წულნიც თან ახლდნენ დედოფალს. მთელი სამეფო ოჯახი იძროდა გზაზედ. მეტადრე მშვენივრად შეეგებნენ დედოფალს არტვინში, სამღვდელოება თუ ეპისკოპნი. ამ ზეიმით შეგებებას ხელმძღვანელობდა მოხუცი გმირი თადეოზ ართვინელი, რომელს თავის ციხე-დარბაზში განემზადებინა დედოფლისთვის ბინაც, სადღესასწაულო მეჯლისიც. აქვე მიიღო გურანდუხტმა მეორე წიგნი თვის მეუღლისაგან. სწერდა აშოტი:

— ვესწრაფი შენს ნახვას. მსურს პირადად გაგიზიარო ის დიდი სიხარული, რომელი ავსებს ჩემს გულს. მტერი დიდხანს ვერ შესძლებს კვლავ გაძლიერებას, კადნიერად შემობრძოლებას. შეიძლება პირდაპირ არტანუჯზედ გამოვიარო. მსხვერპლი შესწირე! გაახარე უხვი საბოძვრით ქვეშევრდომები.

დედოფალს იამა ეს წერილი: არტანუჯში შეეყრებოდა თავის გვირგვინოსან მეუღლეს და ბრწყინვალედ დაათავებდა თავის დიდებულ მგზავრობას.

ძალიან მოეწონათ ელჩებს არტანუჯის ადგილ-მდებარეობა, სათანადოდ დააფასეს მისი სამხედრო მნიშვნელობაც. ციხის გეგმში მათმა ხუროთმოძღვარმა რამდენიმე შესწორება შეიტანა. შიგ ციხეში რამდენიმე ჭა ამოაღებინა. შესანიშნავი ცოდნა გამოიჩინა აქ: პირდაპირ ხელი დაადვა იმ ადგილებს, სადაც უნდა ამოეკვეთათ ხაროები, რომ მალე მიეგნოთ ნაკადისათვის.

მტერმა რომ შესძლოს გვირაბის პირის დაჭერა ან ზევიდან მოწამლოს მდინარე, ციხეს უთუოდ უნდა ჰქონდეს სხვა საშუალება წყალის შოვნისა. ყველაზე ძნელი ის არის, როცა წყალი შემოაკლდებათ მტერთაგან გარემოცულებს, ამცნო გამოცდილმა.

იმავე ხუროთმოძღვარის ჩვენებით იქმნა გატანილი სხვა გვირაბი მეორე მხარეს. ეს გვირაბი უწევდა ხევს, თითონ ხევი კი არ იყო გასული, ცოტა ადგილი-ღა იყო გასათხრელი.

— ესეთი გვირაბი გაგვყავს ჩვენ იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელ ჟამს ლაშქარს შეეძლოს უჩინრად გალტოლვა. ცოტა ხნის მუშაობა-ღა დასჭირდება შემწყვდეულ ხალხს, რომ გაიტანოს ხევში ხვრელი და გზა გაიხსნას. საიდუმლო უნდა იყოს ამ გზის არსებობა.

— როგორ დაიფარება ეს, როცა ხალხი იმუშავებს ზედ, მრავალი კაცი?

— შეიძლება! აი მონები, ტყვედ წამოყვანილნი. ესენი უნდა ამუშაოთ.

— მით უფრო ცუდი: მტერს ეცოდინება ყოველივე.

— ვერ მიხვდით! მაგვარ საიდუმლო სამუშაოების დათავებისას, მუშაკთ მოსპობენ.

დედოფალმა რამდენიმე დღე დაჰყო არტანუჯში. დაურიგა სამოსახლო ადგილები თავის მხლებლებს და მახლობელებს, რომ ისინიც იქ დასახლებულიყვნენ, სატახტო ქალაქში. მოგზაურობა და ზეიმი მთლად უჩრდილო იქმნებოდა, თუ აშოტი მიბრძანებულიყო არტანუჯს. განსაზღვრულ დროზედ მეტი დარჩა იქ გურანდუხტი, ელოდდა თავის მეუღლეს.

— ალბათ სახელმწიფო საზრუნველმა შეაგვიანა ბატონი მეფე ადგილობრივ, ან სხვა გზა მისცა მის მსვლელობასა, სთქვა სახლთუხუცესმა.

— უნდა ეგეც მსწრაფლ ეცნობებინა. ისიც უნდა ემცნო, სადა ჰხლებოდნენ მას ეს დესპანები! შენიშნა დედოფალმა წყენით, და მოსპო ამ საგანზედ საუბარი.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასს სჯობნის. სიგს და ლორდ ის ადგილზე აპირებდენ მის და- ას.

კარლსრუე და მანგეიმი

ოსიშე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ აკელების ახალ გამოსვლების გა- საფრანგეთის ჯარმა დაიჭირა სრუე და მანგეიმი.

ლამანშის გვირაბი

ობილმა ფრანგ ექსპერტმა რკინის ს საკითხებში ინტერვიუში ლამან- ს გვირაბის შესახებ განაცხადა, რომ აერთაშორისო დიდი ექსპრესები გავ- ავლენ ლონდონიდან, აქედანვე გავ- ლენ ექსპრესები ლონდონ-სტამბოლი და ლონდონ- ბაგდადი, გამბურგ-ბაგ- ადის ხაზის მაგიერ.

გაზეთი „პელ მელ“-ი იუწყება, რომ ენერალი ალენბი ჩავიდა პარიზში საიდანაც, ალბათ მოკლე ხანში გაემგზავრება ლონდონში და სადაც მას მეგობრულად შეხვდენ.

ბრალდებები გერმანიის წინააღმდეგ.

ომის პასუხისმგებლობის კომისიამ გამოაცხადა რომ დამნაშავეთ სამართალში მისცემენ. გერმანიის არმიის წინააღმდეგ შედგენილია საბრალმდებლო აქტი შემდეგი 30 მუხლისაგან: 1) მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტა, 2) მძევლების დახოცვა, 3) მოქალაქეთა წამება, 4) მოქალაქეთა შიმშილით დახოცვა, 5) ძალადობა, 6) ახალგაზდა ქალების წაყვანა, 7) მოქალაქეთა წაყვანა, 8) საშინელ პირობებში მოქალაქეთა დატყვევება, 9) სამხედრო სამუშაოებზე მოქალაქეთა ძალით გაყვანა, 10) სამხედრო ოკუპაციის დროს მცხოვრებთადმი ერი მოპყრობა, 11) დაპყრობილ ებიდან მცხოვრებთა ძალით გაწ- 12) ცარცვა-გლეჯა, 13) ქონე- ჩამორთმევა, 14, უკანონო და ი კონტრიბუციები და რეკვიზი- ები, 15) ქაღალდის ფულის ღირე- ულობის დაწევა, 16) საერთო გადასახადების დაწესება, 17) კერძო ქონების განუსაზღვრელი დარბევა-განადგურება, 18) მშვიდობიან ქალაქების ის ყუმბარების დაშენა, 19) ძეგლე- ეკლესიების და სასწავლებლების გურება, 20) საბარგო და სამ- ო გემების დაღუპვა განურჩევ- და გაუფრთხილებლათ, 21) სა- ო ხომალდების და სატრანსპორ- გემების განადგურება, 22) საა- მყოფოებისთვის ყუმბარების დაშე ა, 23) საგოსპიტალო გემებზე თავდასხმა და მათი დაღუპვა, 24) ჟენე- ვის ვენციის დადგენილებათა დარღვე- ა, 25) მახრჩობელი გაზების ხმარება,) თავწაჭრილ ტყვიების ხმარება, ტყვეთათვის ბინის მიცემის აკრ- ევა, 28) სამხედრო ტყვეებისადმი აცრი მოპყრობა, 29) თეთრი დრო- ს ბოროტათ გამოყენება და 30) ყაროების მოწამვლა. ბელგიაში ცხოვრებთადმი გერმანელების მიერ ჩადენილ დანაშაულს მოწმობს შემდეგი აქტები. 1914 წ. 12—21 აგვისტოს ნში მოკლულია 300 კაცი, 22 აგვ. 450 კაცი დახვრიტეს ტამინის ეკლესიის წინ. და ლიეჟში 200-ზე მეტი დახოცეს, 1914 წლის განმავლობაში დინანტში 606 კაცი დაუხოციათ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გამართულ საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტმა ვილსონმა, ლოიდ ჯორჯმა, კლემანსომ, ორლანდომ მარშალ ფოშმა სამხედრო თვალსაზრისით განიხილეს უნგრეთში მომხდარი ამბები და იმსჯელეს აგრეთვე პოლონეთში გენ. გალერის ჯარების გაგზავნის შესახებ.

რუსეთის და უნგრეთის საშიშროება

„დეილი-მეილი“ იუწყება, რომ ოთხთა საბჭო, რომელიც აღჭურვილია თავიანთ ხალხის ნდობით, წინადადებას აძლევა ითათბირონ იმ ზომებზე, რომელიც უნდა მიიღონ რუსეთის და უნგრეთის საშიშროების წინააღმდეგ და გამოიმუშაოვონ ზავის ხელშეკრულების უკანასკნელი ფორმა. ოთხთა საბჭომ განიხილა (?) სამშობლოში დაბრუნების საკითხი. ოთხთა საბჭოს გადაწყვეტილებას, გადასცენ თავისუფლება ოთხ მთავარ დელეგატს, უკმაყოფილებას იწვევს საზავო კონფერენციის წევრებში რომლებიც ამაში იმის გარანტიას ხედავენ, რომ კონფერენცია ამიერიდან შეუდგება საკითხების გადაწყვეტას. ფიქრობენ, რომ ოთხთა საბჭო სათითაოთ არ განიხილავს საკითხებს. მთავარ მიმდინარე საკითხებს მთლიანად განიხილავენ. საზავო ხელშეკრულების ფაქტი შეიცავს ყველა ტერიტორიალურ და ფინანსიურ მოთხოვნილებებს, რომელნიც თავმოყრილი იქნება საზავო ხელშეკრულობის საბოლოო ტექსტში. როცა შეადარებენ ამ ორ სხვა და სხვა ხელშეკრულებას, გამოიმუშავებენ ხელშეკრულების უკანასკნელ ფორმას.

გერმანიის სხვა და სხვა პარტიები ხმა მაღლა გაჰკიოდენ უნგრეთში მომხდარ ამბების შესახებ. გერმანიის უკიდურესი წრეები მიაქცევენ რა ამას საზოგადოების ყურადღებას მთავრობის გამოცვლას ისტორიულ ფაქტათ სთვლიან, რეაქციონერები კი ამტკიცებენ, რომ ამით უნგრელებს სურთ შეაშინონ მოკავშირენი, რათა ისინი აიძულონ უფრო ლმობიერათ მოეპყრან მათ.

ლიონი. მარ. 38. მიღებულია განსაკუთრებული ზომები პრეზიდენტ ვილსონის და მოკავშირეთა პრემიერების სიცოცხლის უზრუნველ-საყოფად.

კოვნო. მარ. 37. კოვნოში მყოფ გერმანელ ჯარის-კაცთა შორის მთავრობის საწინააღმდეგო მღელვარებაა. მოელიან შეტაკებას გერმანელთა და ლიტოველთა შორის რის გამო ქუჩებში ტყვიის-მფრქვეველები დასდგეს და დარაჯები გააძლიერეს. შეიარაღებული ჯარის-კაცები ორჯერ დაესხნენ. ამერიკის მისიას ჯარის-კაცები მხოლოდ სპარტაკელთა აგიტატორებს ენდობიან. სცადეს ძალით გაენთავისუფლებიათ ტუსაღები ციხიდან, რომელსაც ალყა შემოარტყეს.

ლუგანო. მარ. 27. იტალიის სოციალისტურმა პარტიამ ბრიუსელის ინტერნაციონალის წინააღმდეგ გაილაშქრა და განაცხადა, რომ პარტია კომუნისტურ ინტერნაციონალს უერთდება. (დასაწყისი არ არის).

აღმოსავლეთის ფრონტი. ორსკის რაიონში, ბრძოლით დავიხიეთ ორტრუბოგანნისკენ სტერლიტმაკის რაიონში, ურტაზიმის მიმართულებით, დავიჭირეთ ახალი პოზიციები დატანალიკთან, ზემო ურალის მიმართულებით მოწინააღმდეგემ რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. უფის რაიონში ბრძოლით დავიჭირეთ ბეკეტოვკა. უფის სამხრეთით მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ხელ ვიგდეთ 5 ზარბაზანი 5 ტყვიის-მფრქვეველი, თოფები, იარაღი და სხვა მრავალი სამხედრო ქონება.

მოსკოვი, ბუგულმინის რკინის გზასთან მდინარე უჟემთან ბრძოლა გრძელდება. სარაპულის რაიონში კრასნოუფიმის რკინის გზასთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პერმის რაიონში რკინის გზის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

სამუნიციპალო ცხოვრება

ქალაქის თავის ჩამოსვლა.

თბილისის ქალაქის მოურავი ბ ნი ბენია ჩხიკვიშვილი სოხუმიდან თბილისს ჩამოვიდა და თავის ვალდებულების ასრულებას კვირიდან შეუდგა.

გაფიცვის საკითხი.

ქალაქის თვითმართველობის გაფიცულ ნაწილის მოსამსახურეთა დელეგატებს 29 მარტს სახალხო უნივერსიტეტის ბინაში სხდომა ჰქონდათ მათ შემდეგი მოქმედების სამსჯელოთ. ამ კრებაზე ცხადად გამოიხატა გაფიცვის ხელმძღვანელების პოლიტიკური მიზანი. ისინი მოითხოვდენ, მიუხედავად თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილებისა გაფიცვის გაგრძელებას, სანამ ქალაქის თვითმართველობა არ შესრულებს სავსებით ყველა მათ მოთხოვნილებას. ბევრი წილი მოსამსახურეთაგანი კი დარწმუნდენ რა, რომ ისინი თავიანთ ამხანაგებმა მოტყუებით პოლიტიკურ გაფიცვაში ჩააბეს, უნდობლობას უცხადებდენ გაფიცვის ხელმძღვანელ და აღმასრულებელ კომიტეტს და მოითხოვდენ გაფიცვის ლიკვიდაციას და მუშაობის დაწყებას, ნამეტნავად მაშინ, როდესაც ქალაქის გამგეობა მათ აღარა სთვლის თავის მოსამსახურეებათ და დღეს თუ ხვალ მათი ალაგები დაჭერილი იქნება სხვა პირებით. ამიტომ წინადადებას აძლევდენ შუამდგომლობა აღძრან ქალაქის საბჭოს წინაშე თავის დადგენილების გადასათვალიერებლად და მათ სამსახურში უკან დაბრუნების შესახებ. ამ აზრისაა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. რობლინი. გაფიცვის ხელმძღვანელები კი ბ-ნი კვალისი, ნუცუბიძე და სხვ. კი იზიარებდნენ ბრძოლის გაგრძელებას, და იმედოვნებდნენ, რომ მათ მხარს დაუჭერენ ბაქოს პროლეტარიატი და თბილისის ზოგიერთი მუშათა კავშირი. ბევრმა მოსამსახურეთაგანმა კრებას თავი გაანებეს და გადასწყვიტეს ორშაბათს სამსახურში წავიდნენ. კენჭის ყრის დროს ხმები გაიყო ნახევრათ და საკითხი გაფიცვის გაგრძელების შესახებ, გადაუწყვეტლად დარჩა შემდეგ დეპუტატთა კრებამდე.

ქალაქის გამგეობის სახელზე დიდი ძალი თხოვნა შემოვიდა სხვა და სხვა თანამდებობაზე მიღების შესახებ სამსახურიდგან გასულ ქალაქის მოსამსახურეების ალაგას. ტრამვაის მოსამსახურეთა კავშირმა შაბათს გამოუგზავნა ქალაქის გამგეობას რამდენიმე ბუხჰალტერი ტრამვაის უფროს ბუხგალტრის გ. მ. ოტიანის მეთაურობით გაფიცულ მოსამსახურეთა ალაგას სამუშაოთ.

რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი შეეკითხა ქალაქის მოურავის მოადგილეს რა გვარი დახმარება სჭირდება ქალაქის გამგეობას მოსამსახურეთა გაფიცვის გამო. კავშირი ჰპირდება ექიმების, ფერშლების და სხვ. გამოგზავნას მაშინვე, თუ ქალაქის ექიმები საავადმყოფოებს თავს დაანებებენ.

საქართველოს მოხელეთა პასუხისმგებელი არტელი

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელების საბჭომ ქართულ მოხელეთა პასუხისმგებელ არტელისა და მასთან ქართულ ენაზე საბუხჰალტერო კურსების ორგანიზაცია სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, კონსტანტინე გიგინეიშვილს მიანდო.

სხვა და სხვა დაწესებულებისაგან და კერძო პირებისგან არტელის წევრებს დაჩქარებით თხოულობენ. არტელმა წინადადება მიიღო აგრეთვე სახაზინო და კახეთის რკინის გზების მართველობისაგან, რომ არტელმა მიიღოს თავის თავზე რკინის გზების კასების ოპერაციებისა და მასალების მიღება-გაცემის წარმოება; მოთხოვნილებაა აგრეთვე ერობებისაგან. არტელში წევრებად ჩაწერა სწარმოებს:

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ს. ტარუაშვილთან, ამიერ-კავკასიის ბანკში კ. მხეიძესთან, სახაზინო რკინის გზის სამმართველოში მთავარ კასირთან, ივანე კანდელაკთან და პროვინციებში საურთიერთო-ნდობის საზოგადოებებში. არტელში მიიღებიან ყოფილი სამხედრო პირებიც, რომლებსაც სათანადო მომზადება აქვთ.

კოოპერატივთა კავშირი

კავშირის გადაკეთება

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მეთვალყურე საბჭოს პრეზიდიუმს მიენდო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საქართველოს კოოპერატივთა კავშირად გარდაქმნის პროექტის შესახებ.

კავშირი ბაქოსთან

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი შედის ხელშეკრულებაში კასპიის მომხმარებელ საზოგადოებათა „კოოპერაცია“ სთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე.

კავშირის ჟურნალი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა კავშირის სამხატვრო სალიტერატურო და საკოოპერაციო ჟურნალი „შვიდი მნათობი“.

ხმელი თევზის მიღება

ამ.-კავკ კოოპ. კავშირის გამგეობა ამ დღეებში მიიღებს 1 ვაგონ ხმელ თევზს და ბრინჯს.

წარმომადგენლობა ბაქოში

ამიერ-კავკასიის კოოპ. კავშირმა დააწესა ბაქოში წარმომადგენლობა და კავშირის წარმომადგენლად დაინიშნა ბ. დიადკინი, რომელსაც მიენდო საქონლის შეძენა, როგორც ბაქოს გუბერნიაში, ისე სპარსეთშიაც.

ხელშეკრულობა ადერბეიჯანთან

ამ.-კავკ. კოოპერატივთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ბ. რამიშვილს ბაქოში ყოფნის დროს ხელშეკრულება დაუდვია ადერბეიჯანის რესპუბლიკის სასურსათო სამინისტროსთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ ფართე მასშტაბით.

რწმუნებული ყუბანში

ამიერ კავკ. კოოპერ. კავშირის გამგეობამ ყუბანში გაგზავნა თავისი რწმუნებული ხორბლის, ერბოს და სხვა სანოვაგეთა შესაძენათ.

დახმარება სახალხო უნივერსიტეტს

ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ 3 ათასი მანეთი შესწირა სახალხო უნივერსიტეტს.

სასოფლო მეურნეობა

აბრეშუმის თესლი

ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ შემდეგი შინაარსის შუამდგომლობა გაუგზავნა მიწათ-მოქმედების მინისტრს: „რადგანაც წელს ძლიერ ცოტაა აბრეშუმის თესლი, სულ 15—20 ათას კოლოფამდე და ჩვენი რესპუბლიკისათვის კი, ჩვეულებრივად საჭიროა 100 ათას კოლოფზე მეტი, ამისათვის ქუთაისის სამაზრო ერობამ თანახმად საბრეშუმო სადგურის გამგის აგრონომი იოსებ ქუთათელაძის განცხადებისა, სხვა ერობებთან შეთანხმებით, განიზრახა ზემო-აღნიშნული მცირე რაოდენობა თესლისა გაანაწილოს უმთავრეს საბრეშუმო რაიონებში, რათა მომავალ წლისთვის შეძლება გვექნეს მივიღოთ ზომები უფრო ფართო საბრეშუმო კომპანიის წარმოებისათვის. გაუწყებთ რა ყველა ამას, გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ ზემო-აღნიშნული რაოდენობა თესლის, რომელიც თბილისის საბრეშუმო სადგურში იყო წარდგენილი მეთესლეების-მიერ შესამოწმებლათ, გადმოგვცეს თქვენ-მიერ დადგენილ ფასებში (6 მან. მისხალი) აღნიშნულ მიზნისათვის. დასასრულ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად თქვენი განკარგულებისა, საქართველოს რესპუბლიკაში დამზადებული თესლი ჩუმად გააქვთ ადერბეიჯან-სომხეთში და ჩვენი მეაბრეშუმეები უთესლოდ რჩებიან“.

—

ვირთაგვები შორაპნის მაზრის მინდვრებში

ქუთაისის სამაზრო საერობა გამგეობა შორაპნის მაზრის საერობო გამგეობას შემდეგს ატყობინებს: „შორაპნის მაზრიდან გვაცნობებენ: ს. ფუთში ალავერდში, ირვლიში, მინდვრის ვირთაგვები გაჩნდა, ისინი ზემო-აღნიშნულ სოფლებში დაუნდობლად ანადგურებენ ყოველგვარ ნათესს, თუ დროზე ვირთაგვების გასაწყვეტად სათანადო ზომა არ იქმნა მიღებული, როგორც შორაპნის ნათეს მინდვრებს, ისე მთელ გუბერნიისას დიდი საფრთხე მოელის. აცნობეთ დეპეშით ტფილისში მწერთა და მხვრელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს Бюро по борьбѣ съ вредителями), რათა ის სიჩქარით მოეშველოს თქვენს მაზრას და მიიღოს რადიკალური ზომები სოფელ ფუთში, ალავერდში, რვილში, გაჩენილ მინდვრის ვირთაგვების ამოსაწყვეტად, საქონლის ჭირის მებრძოლი სადგურის გამგის მიხ. ფარსცვანიძის გადმოცემით — ვირთაგვები გაურბიან იმ ადგილს, სადაც რაიმე გადამდები სენი ჩნდება მაგალ.—ვირთაგვის ტიფი, ჟამი, რომელიც ადამიანზედაც გადადის და საშინლათ ავრცელებს ჯირყვლების და ფილტვების ჟამს. მ. ფარცვანაძის აზრათ, ჩვენი ხალხის ფიზიკური არსებობის და ჭირნახულის დასაცავად სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და გამოირკვეს ჩვენში გაჩენილი ვირთაგვები არიან თუ არა რაიმე გადამდები სენით შეპყრობილნი, რის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს ხშირი პოვნა მკვდარ ვირთაგვების მათ მოსასპობად სადგურის გამგის აზრით, საჭიროა—იმ ადგილებში, სადაც ისინი უხვად არიან, წყალი შეუშვან, ან სადაც არ შეიძლება იქ მოუყარონ კირ-შერეული ფქვილი.

ელექტრონის სადგურის კანტორა
ვატტი

მეორედ აცნობებს ბ-ნ აბონენტებს, რომ ამ არაჩვეულებრივ დროს ბაზარზე არ არის ის მატერიალები, რომელიც საჭიროა მანქანების რემონტისათვის. მანქანები განუწყვეტლივ და შეუკეთებლივ მუშაობენ ხუთი წლის განმავლობაში, რის გამოც ისინი წარმოადგენენ საშიშ მდგომარეობას მუშაობის დროს. ამიტომ ელექტრონის სადგურის კანტორა აცხადებს, რომ, ის პასუხს არ აგებს თუ ელექტრონის ენერგია არა ნორმალურათ იმოქმედებს, და რომ თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა და საყვედურობა აბონენტებისა სადგურის მსახურთა და ადმინისტრაციის შესახებ, აფრთხილებს აბონენტებს, რომ შეიძლება ელექტრონის სადგურზე მუშაობა შეჩერდეს ხანგრძლივათ რემონტის გამო ამიტომ სადგურის კანტორა წინადადებას აძლევს აბონენტებს, რათა უკანასკნელნი ან დროზე შეეცადონ დააგროვონ გასანათებელი აპარატები და გასანათი პროდუქტები ან და გადაეწერონ სხვა სადგურში.

პატივისცემით ელექტრონის სადგურის კონტორა „ვატტი“.

1—2264—1

გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის

სამართველო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა ქ. თბილისი ამ ჟამად დაყოფილია თოთხმეტ გადასახადთა უბნებათ ქვემოთნაჩვენებ საზღვრებში:

1-ლი და მე-2 გადასახადთა უბნები შემდგარი არიან 1-ლი სამილიციო უბნიდგან, ხოლო პირველ მათგანს უერთდება ვაკე, მე-2 ს კი მთელი საბჭურთალოს კომისარიატი, ორივე ეს უბნები ისაზღვრება მე-3 გადასახადთა უბანთან ხაზით, რომელიც მიდის მდინარე მტკვრიდგან ვერის დაღმართზე და მოსკოვის ქუჩაზე მამა-დავითის მთამდე, საზღვრები კი ამ ორ უბანს შუა გადიან ოლღის ქუჩაზე წყნეთის ქუჩის დასაწყისამდე; შემდეგ წყნეთის ქუჩაზე ვარაზის ხევამდე, ამ ხევზე მდინარე ვერამდე და ზევით ამ მდინარეზე ვიდრე მაზრის საზღვრამდის. 1-ლი უბნის გადასახადთა ინსპექტორის კანცელარია იმყოფება გუნიბის ქუჩაზე, სახლი № 43, მე 2 უბნის კი საუფლისწულო ქუჩაზე სახლ. № 7.

მე-3 გადასახადთა უბანი შეიცავს მთელ რაიონს მე-2 სამილიციო უბნისას; კანცელარია იმყოფება გუნიბის ქუჩაზე სახლ. № 43.

მე-4 გადასახადთა უბანი შეიცავს რა ნაწილს მე 3 სამილიციო უბნისას, ისამზღვრება მე-3 გადასახადთა უბანთან ხაზით, რომელიც გადის დავითის ქუჩაზე, გოლოვინის პროსპექტზე და ბარონის ქუჩაზე ვიდრე დიდი ვანქის ქუჩამდე, მე-5 გადასახადთა უბანთან ისაზღვრება შტაბის ქუჩით, ერევნის მოედნით (სახლები № № 1—5) შემდეგ სოლოლაკის, რტიშჩევის (№ № 2—6) ახალ-ბებუთოვის და ერმოლოვის ქუჩებით: კანცელარია გადასახადთა უბნისა იმყოფება ოლღის (№ 31) და ვერის ეკლესიის ქუჩების კუთხეში სახლ. ყოფილ სარაჯევისა.

მე5 გადასახადთა უბანი შეიცავს დანარჩენ ნაწილს მე 3 მილიციის უბნისას; მე-4 გადასახადთა უბანთან ისაზღვრება ზემო-ნაჩვენებ ქუჩებით და მე 6 გადასახადთა უბანთან კი საზღვრებით მე-3 მილიციის უბნისა; კანცელარია იმყოფება რუსთაველის) ყოფილ გოლოვინის პრ.) ქუჩაზე სახლ. № 12.

მე-6 გადასახადთა უბანი შეიცავს მთელ რაიონს მეოთხე მილიციის უბნისას, მე-7 გადასახადთა უბანი მე-5 მილიციის უბნისას მე-8, მე-6 მილიციის უბნისას, მე-9 მე-7 მილიციის უბნისას და მე-10 8 მილიციის უბნისას; კანცელარია მე-6 გადასახადთა უბნისა იმყოფება ლერმონტოვის ქუჩაზე სახლ. № 3, მე-7 სასტუმრო „სევერნიე ნომერა“-ში.

მე-8 უბნის გრაფის ქუჩის და სამების შესახვევის კუთხეში და მე-9 და მე-10 უბნებ. გრაფის ქუჩაზე ქართული ბანკის სახლში № 2.

მე-12 გადასახადთა უბანი გამოყოფილია მე-9 და მე-10 სამილიციო უბნებიდგან და იმყოფება საზღვრებში: მდინარე მტკვარი, გიმნაზიის ქუჩა და მარჯვენა მხარეები დაყოლებულ ქუჩებისა და შესახვევებისა: სამოსწავლეო შესახვევისა დიდი-მთავრისა და კრილოვის ქუჩ., მიხეილის პროსპექტისა, ტატიანის და ელისაბედის ქუჩ. ტატიანის შესახვ., ნიკოლოზის, მილიუტინის ჩერქეზიშვილის, რეუტის და გერმანულ ქუჩებისა, მიხეილის პროსპექტისა, კოლონიის, დიდი-მთავრის და კირკის ქუჩებისა ვიდრე მდინარე მტკვრამდე; კანცელარია იმყოფება გრაფის ქუჩის და სამების შესახვევის კუთხეში, სახლ. № 12/10.

მე-11 გადასახადთა უბანი შეიცავს მთელ რაიონს მე-9 სამილიციო უბნისას, გარდა მისი ნაწილისა, რომელიც შედის მე-12 გადასახადთა უბნის ფარგალში. მე-13 გადასახადთა უბანი შეიცავს რაიონს მე 10 სამილიციო უბნისას, გარდა მისი ერთი ნაწილისა, რომელიც ეკუთნის მე-12 გადასახადთა უბანს; კანცელარია მე-11 უბნისა იმყოფება დიდი მთავრის ქუჩაზე სახლ. № 57, მე 13 უბნისა კი ანდრეევის ქუჩაზე სახლ. № 29.

მე-14 გადასახადთა უბანი შემდგარია მე-11 და მე-12 სამილიციო უბნებიდგან; კანცელარია იმყოფება გლდანის შესახვევში სახლ. № 13.

1—42—1

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლი ხან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.
მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.
მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ. ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.
მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.
მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დილის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.
მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1

7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიაძე

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მ ო ნ ს ე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—28

ს[illegible] კალანძაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.